გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 100
(11 454)

19 – 21 დეკემბერი, 2000 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გიორგი ვაზაგაშვილი საქართველოს №1 ძიუდოისტი

ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამ გამოავლინა და აღმასკომის სხდომაზე დაამტკიცა საქართველოს 2000 წლის №1 ძიუდოისტი. ეს პატივი წილად ხვდა სიდნეიში გამართული ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორს, მსოფლიოს სამგზის პრიზიორს და ევროპის ორგზის ჩემპიონს *გიორგი ვაზაგაშვილს.*



## თბილისის ფეხბურთის ფედერაციას ახალი თავკაცი ჰყავს – ავთანდილ კოჭაია

3

## პრეზიდენტის მეხუთე ტრადიციული

აზერბაიჯანის დედაქალაქმა მეხუთედ უმასპინძლა აიბა-ს (სამოყვარულო კრივის მსოფლიო ასოციაცია) პრეზიდენტ, დოქტორ ანვერ ჩაუდრის იუნიორ მოკრივეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს. ბაქოს რინგზე 7 ქვეყნის: აზერბაიჯანის (2 გუნდი), საქართველოს, რუსეთის, ყაზახეთის, ირანის, პაკისტანისა და სამხრეთ კორეის წარმომადგენლები იბრძოდნენ გამარჯვებისათვის.

ჟიურიმ ტურნირის საუკეთესო შეხვედრად მეორე ქვესაშუალო წონის (67 კგ) მოკრივეების ბათუმელ მერაბ სვანაძისა და დაღესტნელ ახმედ ვახადოვის ფინალი მიიჩნია, რომელიც ქართველი მოკრივის გამარჯვებით დამთავრდა და პირველი ადგილიც მას დარჩა. მანამდე მ. სვანაძემ მეოთხედფინალში დიდი უპირატესობით (15 ქულით) სძლია მასპინძელ აზიზ იმანოვს, ბრძოლა მესამე რაუნდში მსაჯმა შეწყვიტა ქართველი სპორტსმენის უპირატესობის გამო, შემდეგ დაამარცხა კორეელი ჩონ-ბეოკ-ლინი.

მეორე საპრიზო ადგილები მოიპოვეს თბილისელმა ლევან ბოჭორიშვილმა (71 კგ) და გორელმა გიორგი კობახიძემ (+91 კგ), მესამე პრიზიორები გახდნენ ფოთელი კახა ქვანია (57), გორელი დავით ბერიძე (60), თბილისელები პავლე აფაქიძე (63,5) და ავთანდილ ხორნაული (71). სხვათა შორის, მან ამ წონაში გამარჯვებულ ჩეჩენ აზიზ სულთანბეკოვს არათუ ტოლი დაუდო, უპირატესობაც მის მხარეზე იყო, მაგრამ მსაჯებმა ასე არ განსაჯეს...

საქართველოს მოკრივეებს თან ახლდნენ მთავარი მწვრთნელი სერგო ბერძენიშვილი, XXVII ოლიმპიური თამაშების პრიზიორის ვლადიმერ ჭანტურიას მწვრთნელები სოზარ კულუა და ზაურ ანთია. ტურნირის საუკეთესო მსაჯად ჟიურიმ საერთაშორისო კლასის არბიტრი დავით ქავთარაძე დაასახელა.

## სამბოს ფედერაციის საუკუნის რჩეულნი

10 საუკეთესო სამბისტი:
1. ივანე გამხიტაშვილი
2. იოსებ მალალაშვილი
3. არჩილ ჩოხელი
4. ლავრენტი კაციაშვილი
5. ჯონდო მუზაშვილი
6. ანზორ კიკნაძე
7. ჯემალ მჭედლიშვილი
8. მამუკა კურდღელაშვილი
9. შოთა დაუშვილი
10. ესტატე ქარქუსაშვილი



ივანე გამხიტაშვილი

10 საუკეთესო მწვრთნელი:
1. ქრისტეფორე ნინიაშვილი
2. ოლეგ იაძე
3. აკაკი ნინიაშვილი
4. ლავრენტი კაციაშვილი
5. რომან ყორღანაშვილი
6. ზურაბ ტუღუში
7. გივი სარდანაძე
8. ემილ რაში
9. გმირო ხაჩიძე
10. ედუარდ კვიციანი.

სამი საუკეთესო მსაჯი:
1. შოთა ზუკაკიშვილი
2. ნოდარ ექვთიმიშვილი
3. ანზორ ზურაბაული.

სამი საუკეთესო ვეტერანი:
1. ზაურ სახვაძე
2. ანზორ ზურაბაული
3. ოთარ ყურაშვილი

სამი საუკეთესო გუნდი:
*ქალაქებს შორის:*
1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. ფოთი.
*რაიონებს შორის:*
1. კასპი, 2. საგარეჯო, 3. გორი.



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

*გადადებული მატჩები:* ბასკო — აზოტი 113:87, შევარდენი — სსუ 79:60, სტუ-ჯეოსელი — თსუ 95:80.

| | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| ბასკო | 16 | 16 | 0 | 32 |
| აზოტი | 14 | 11 | 3 | 25 |
| სტუ-ჯეოსელი | 15 | 10 | 5 | 25 |
| მაკაბი | 14 | 8 | 6 | 22 |
| დინამო | 15 | 5 | 10 | 20 |
| თსუ | 14 | 6 | 8 | 20 |
| შევარდენი | 14 | 5 | 9 | 18 |
| ვითა | 14 | 4 | 10 | 18 |
| სსუ | 14 | 0 | 14 | 14 |

*შენიშვნა: შევარდენს დაკლებული აქვს ერთი ქულა.*

მიმდინარე ეტაპის ბოლო ტურის მატჩები 24-25 დეკემბერს გაიმართება.

## სოფიკო ახმეტელმა მძიმე ტრავმა მიიღო. დღეს იგი საკუთარ თავზე და თანაგუნდელებზე გვესაუბრება – უკვე თბილისში...



სოფიკო ახმეტელი

წლეულს, ევროპაში, უთოვლობაა. ამის გამო მრავალი შეჯიბრება გადაიდო. თოვლი მხოლოდ მყინვარებზე და მათ ახლოს მდებარე კურორტებზეა.

ჩვენი სპორტული სეზონი საფრანგეთიდან დაიწყო. 18 ნოემბერს ჩავედით კურორტ ტინში, სადაც ორი სლალომი იყო დაგეგმილი 21-22 ნოემბერს. რბილი თოვლის გამო შეჯიბრების გამართვა სათუო გახდა. მაგრამ პირველ დღეს მაინც ჩაატარეს. სტარტზე 140 მოთხილამურე გამოვიდა. მსოფლიო თასის ეტაპებზე ადგილები შეზღუდულია, წამყვანი სპორტსმენები ამერი-

*იხ. მე-2 გვ.*

## ექიებდეთ და ჰპოვებდეთ!

### უბედურებაში ჩავარდნილი ქართული სპორტისათვის „მაშველი რგოლი" თავად ფედერაციებმა უნდა გამონახონ. ძიუდოს ეროვნული ფედერაცია ეძიებს და... ჰპოვებს კიდეც!

სიმართლე გითხრათ, სპორტის ამა თუ იმ სახეობის ფედერაციის აღმასკომის სხდომის თუ იმ დონეზე ჩატარება შესაძლებელი იყო, როგორც ამ დღეებში ძიუდოისტებმა ჩაატარეს, ვერ წარმოვიდგენდი. ან ეწყობა კი, საერთოდ ასეთი სხდომები? იშვიათი გამონაკლისის გარდა, ალბათ არა! ზოგჯერ ყრილობიდან ყრილობამდე პერიოდი ისე გაილევა, სპორტის ზოგიერთი სახეობის ფედერაციის მმართველი ორგანო ერთხელაც არ შეიკრიბება.

ძიუდოს ფედერაცია რომ სამაგალითოდ გამორჩეულია, ამიერიდან ნამდვილად გვეცოდინება და ახლა ეს წერილი იმისთვისაც იწერება, რომ კარგი მაგალითი სხვებმაც გადაიღონ. ჯერ ის გვინდა გითხრათ, რომ საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია დღეს ალბათ ყველაზე ტიტულოვანი ფედერაციაა ჩვენში. აღმასკომის ახლანდელ შემადგენლობაში შეხვდებით ოლიმპიურ, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონებს (პრიზიორებზე ალარაფერს ვამბობთ), საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულებს, საყოველთაოდ ცნობილ სპეციალისტებს. მოკლედ, ასეთ შემადგენლობას არათუ ბევრი ქვეყნის ეროვნული, თვით საერთაშორისო ფედერაციებიც ინატრებდნენ.

ფაქტობრივად ეს იყო ახალარჩეული ფედერაციის აღმასკომის პირველი სხდომა, რომელსაც წარსულში ცნობილი ძიუდოისტი, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობაში გამოცდილი პიროვნება, ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი უძღვებოდა. პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ყველას ერთად დგომისთვის და ალბათ, საერთო გულისნადები გაამჟღავნა, როცა განაცხადა, რომ ეს ფედერაცია იქნება თანამოაზრეთა ერთი ოჯახი, რომ საერთო ძალისხმევით უნდა შეძლონ დღეს სპორტში თავჩენილი პრობლემების მოგვარება. „ფუჭი

*იხ. მე-2 გვ.*

## რუსული – ძიუდოს ენა გახდა

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, რუსული ენა ოფიციალურადაა აღიარებული ძიუდოს საერთაშორისო ენად ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებთან ერთად. ამიერიდან კონგრესების თუ საერთაშორისო შეჯიბრებების მასალები და მეთოდური ლიტერატურა რუსულ ენაზეც მომზადდება.

## ბერძნები კახი კახიაშვილზე ფილმს გადაიღებენ



უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, უახლოეს ხანში საქართველოში ჩამოვლენ ცნობილი ბერძენი ტელეჟურნალისტები, რომლებიც გადაიღებენ ფილმს ქართველ ძალოსანზე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის კახი კახიაშვილის (აკაკიოს კახიაშვილისის) შესახებ.

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### საფეხბურთო ტრანსფერები

- **რუდი** ფიოლერი, რომელსაც 2002 წლამდე კონტრაქტი აკავშირებს ლევერკუზენის „ბაიერთან", მოლაპარაკებას აწარმოებს „რომასთან" შემდგომში იქ გადასვლის თაობაზე.
- **საფრანგეთის** კლუბმა „მონაკომ" სურვილი გამოთქვა მწვრთნელ კლაუდი პაუელის ნაცვლად სამუშაოდ აიყვანოს იტალიელი არიგო საკი.
- **სახელგანთქმულ** პარაგვაელ მეკარეს ლუის ჩილავერტს, რომელიც სულ ერთი თვეა, რაც გადავიდა საფრანგეთის „სტრასბურში" განზრახული აქვს გამოიცვალოს კლუბი.
- **თურქეთის** „ტრაბზონსპორის" ხელმძღვანელობა დაუკავშირდა ჰოლანდიურ „პსვ ეინდჰოვენის" ნახევარმცველ ტომაშ ივანის და ტრანსფერის განხორციელება შესთავაზა.
- **საბერძნეთის** საფეხბურთო ჩემპიონატი: ოფი კრეტა — აეკ 3-3.

## სხვა ამბები:

- **მძლეოსნობის** საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, „ოქროს ლიგის" ტურნირები სპორტის ამ სახეობაში ორ კატეგორიად გაიყოფა (პრემიალური და კლასიკური).
- **ფორმულა 1-ის** მრბოლს, „ბენეტონის" პილოტს ჯანკარლო ფიზიკელას წარმატებით ჩაუტარეს მუხლის ოპერაცია რომის ჰოსპიტალში.
- **ცნობილი** დანიელი ველომრბოლი ბიარნე რიისი, რომელმაც ამას წინათ დაასრულა სპორტული კარიერა, სადაზღვევო კომპანიისაგან, რომლის კლიენტიც ის არის, 2 მილიონ დოლარს მიიღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 8 თვე დარჩა

...სიდნეის ოლიმპიადამ დაადასტურა, რომ ამოუწურავია საქართველოს სპორტული პოტენციალი: ყველა სოფელში და, რა თქმა უნდა, ქალაქში მოიძებნება ნამდვილად ჭეშმარიტი ტალანტი.

*ე. შევარდნაძე*

# სოფიკო ახმეტელმა მძიმე ტრავმა მიიღო. დღეს იგი საკუთარ თავზე და თანაგუნდელებზე გვესაუბრება — უკვე თბილისში...



თამარ რობაქიძე

*პირველი გვერდიდან*

კაში იმყოფებოდნენ, ევროპაში დარჩენილთაგან კი ყველა ძლიერი მოთხილამურე ჩაება ამ შეჯიბრებაში. მე დავიკავე მე-19 ადგილი და ქულები გავაუმჯობესე. ბოლო ნომრებში მომიწია გამოსვლა და ტრასა უკვე ძალიან დათხრილი იყო, რის გამოც კარგი შედეგი ვერ ვაჩვენე. თოვლის უხარისხობის გამო, წინა დღეს, ვაჟთა სლალომი ვერ ჩატარდა. ცუდი ამინდის გამო ჟიურიმ ჩვენი სლალომის ჩატარების ნება არ დართო ორგანიზატორებს. ამის შემდეგ საფრანგეთშივე, ამ კურორტთან ახლოს ვალ-ტორანსში 28 ნოემბერს გაიმართა გიგანტი იგივე შემადგენლობით (140 მონაწილე). მე აქ პირველი ცდა არც ისე კარგად გავიარე, მეორე ცდაში კი მე-9 ადგილზე გავედი. საბოლოოდ 22-ე ადგილს დავჯერდი. ჩემი მწვრთნელის აზრით, ათეულში მოხვედრაც შემეძლო.

6 დეკემბერს საფრანგეთის ცნობილ კურორტ ვალ-დიზერში მსოფლიო თასის ეტაპი ტარდებოდა, სადაც მეც უნდა მიმეღო მონაწილეობა. მანამდე კი იტალიის კურორტ სანტ-ვიჯილიოში 3 დეკემბერს ფისის შეჯიბრება გვქონდა. გიგანტურ სლალომში. სტარტამდე სპორტსმენები სავარჯიშო ტრასაზე 3-4-ჯერ ეშვებიან. საერთოდ, ტრასებს შორის თავისუფლად სრიალი აკრძალულია. მთაზე ახალი მისულები ვიყავით. მე ტრასაზე დამშვებთა რიგში ვიდექი. დადგა ჩემი ჯერიც, მთელი ტრასა გავიარე, ფინიშამდე ორი კარილა მაკლდა, რომ უკნიდან დიდი სიჩქარით ვიღაც დამეჯახა. საუბედუროდ, ადგომა ველარ შევძელი. ვიგრძენი, მარჯვენა ფეხი მოტეხილი მქონდა.

რუსეთის ქალთა ნაკრების მწვრთნელი, ადრე სახელგანთქმული, საბჭოთა მოთხილამურე — ვიქტორ ტალიანოვი პირველი მოვიდა ჩემთან, მას ჩემი მწვრთნელი გერა აბრამიშვილი მოჰყვა. როგორც ჩემმა მწვრთნელმა თქვა, ვიქტორს თვალებზე ცრემლი მოადგა. მე ხშირად რუს სპორტსმენებთან ერთად ვვარჯიშობ, ვიქტორ ტალიანოვს მოსწონს ჩემი სრიალი, იმედი ჰქონდა, რომ შედეგს ვაჩვენებდი.

ვინც დამეჯახა, ლატვიელი გოგონაა. სამწუხაროდ, მას არც კი უკითხავს ჩემი ამბავი. პოლიციამ გვირჩია გვეჩივლა, მაგრამ ჩემმა მწვრთნელმა თავი შეიკავა.

ქალაქ ბრუნიკოში ექიმებმა დამიდგინეს მარჯვენა წვივის ორივე ძვლის აცდენილი მოტეხილობა. გამიკეთდა ორსაათიანი რთული ოპერაცია. ექიმებმა დაგვაიმედეს, რომ ორი თვის შემდეგ ფიზიკურ ვარჯიშს განვაახლებ და მარტის შუა რიცხვებში შევძლებ თხილამურებზე დადგომას.

ჩვენი დაზღვევა, მუდამ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ამჯერად, ჩემი მწვრთნელის იტალიელმა მეგობრებმა დააფინანსეს ჩემი ძვირადღირებული ოპერაცია.

ეს შემთხვევა ჩემთვის ძალიან სამწუხაროა, რადგან წლეულს განსაკუთრებით კარგად მოვემზადე. მაისიდან მოყოლებული მთელი ზაფხული-შემოდგომა ვივარჯიშე იმ ტრასებზე, სადაც გადიოდა წვრთნას მსოფლიოს ყველა უძლიერესი სპორტსმენი. წლეულს ჩემი მიზანი იყო 28-35 ქულის დაგროვება. რაც გარანტიას მაძლევდა უკეთესად გამოვსულიყავი მსოფლიო პირველობაზე, რომელიც იანვარში გაიმართება. ამ ქულებით ჩვენ უფლება გვექნებოდა ორი ქალით წარვსმდგარიყავით ოლიმპიადაზე.

საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ მინახულეს ავსტრიის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა კლაუს ლაისნერმა და მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის დირექტორმა იოზეფ შმიდტმა. ბოლო ორი წელია ჩემს სათხილამურო პრობლემებს ეს ორი ადამიანი აგვარებს.

რაც შეეხება ჩვენი გუნდის ახალგაზრდა წევრს თამარ რობაქიძეს, იგი ყველა შეჯიბრებაზე ტრასის გამხსნელად გამოდიოდა და სპეციალისტების კარგი შეფასება დაიმსახურა. ვფიქრობ, თაკოსთვის ეს კარგი სკოლა იქნება, რომელიც მომავალში გამოადგება.

ჩემს მწვრთნელს, გერა აბრამიშვილს სამომავლოდ ქალთა ნაკრებზე გადააქვს აქცენტი.

ჩვენი გამოსვლები დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მინდა მადლობა გადავუხადო აჭარის ხელისუფლებას, რომელიც უკვე ორი წელია დახმარებას გვიწევს.

ჩვენთვის სასიხარულო იყო ახალგაზრდა ბიზნესმენების ფირმა „აბრეშუმის გზის" ხელმძღვანელების ლევან კაჭარავასა და გიორგი რამიშვილის დახმარება, რომლებიც სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულები და ამჟამად ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები არიან. არაფერს ვამბობ ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტზე ბატონ გოგი თოფაძეზე, რომელსაც დიდი ავტორიტეტი აქვს როგორც საერთაშორისო, ისე ყველა წამყვან ეროვნულ ფედერაციებში. იგი მუდამ ოპერატიულად წყვეტს ყველა ჩვენს პრობლემას.

თბილისში ჩამოსვლის მეორე დღეს, ჩემთან ბინაზე მოვიდნენ ბატონი გოგი თოფაძე და სპორტის დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე ბატონი ირაკლი მეძმარიაშვილი, რომელიც სამთო-სათხილამურო სპორტის დიდი მოყვარულია. მათ გულთან ახლოს მიიტანეს ჩემი ტრავმა.

მათ, რომ მოიცალეს, მინახულეს და გამახარეს.

როგორც იცით, 2002 წელს, ჩატარდება ზამთრის ოლიმპიური თამაშები სოლტ-ლეიქ-სიტიში (აშშ). იმედი მაქვს იმ დროისთვის ფორმას აღვიდგენ და მეორედ გამოვალ ოლიმპიადაზე...

* **

**სოფიკო ახმეტელი „ლელოს" წარმომადგენელმაც მოინახულა ბინაზე. იქვე შევხვდით ჩვენი ნაკრების უფროს მწვრთნელს გერა აბრამიშვილს. მან გვითხრა, რომ 26 დეკემბერს ევროპაში (სადაც თოვლი იქნება) ჩატარდება მსოფლიო თასის ეტაპი, სადაც გამოვლენ თბილისელი თამარ რობაქიძე და გუდაურელი მარიკა კაიშაური. დანარჩენები 8 იანვარს ჩავლენ ავსტრიაში მსოფლიო პირველობაზე. აქ ბაკურიანელი რობერტ მახარაშვილი და თბილისელი თენგიზ ბაქრაძე იასპარეზებენ. წინ გვაქვს აგრეთვე მოზარდთა მსოფლიო თასის ეტაპი, რომელიც ანდორაში დაიწყება და 10 მარტამდე გაგრძელდება ევროპის სხვადასხვა სამთო კურორტზე. მწვრთნელი აქ დიდ იმედს ამყარებს 12 წლის ბაკურიანელ იასონ აბრამაშვილზე, რომელიც თურმე ყველას აოცებს ევროპაში თავისი ოსტატობით, სპეციალისტები ინტერესით კითხულობენ მის ვინაობას. „საქართველოში ვაჟებიდან ასე ოსტატურად ჯერ არავის უვლია. ფირმა „როსინალის" ხელმძღვანელმა, რომელსაც აღრიცხვაზე აჰყავს ყველა ტალანტი, უკვე მოინიშნა ჩვენი ჭაბუკის გვარი" — ამბობს გ. აბრამიშვილი.**

**რაც შეეხება სოფიკო ახმეტელს. მთავარი მწვრთნელი ფიქრობს, რომ უცხოელი მეგობრების ხელშეწყობით ეს გოგონა მალე დადგება თხილამურებზე. განსაკუთრებით ავსტრიელების დიდი იმედი აქვს. ამ ქვეყნის ფედერაციამ, შეიძლება ითქვას, შვილობილად აიყვანა ჩვენი ფედერაცია, უოველწლიურად იძლევა ახალ მანქანებს, ინვენტარს...**

# ექიმებდეთ და პკოვებდეთ!

*პირველი გვერდიდან*

დაპირებები არაფერში გვჭირდება, უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს და ძიუდოს, უნდა დავაფასოთ ერთმანეთი და ყოველივე ეს, ღირსების საქმედ უნდა იქცეს" — თქვა მან.

ექნება თუ არა უკეთესი მომავალი ძიუდოს ჩვენში? თუ იმ პათოსით და პასუხისმგებლობით ვიმსჯელებთ, რაც ალმასკომის სხდომაზე სუფევდა, უნდა ჰქონდეს! ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ალმასკომმა იმსჯელა სპეციალური ფონდის შექმნაზე, რომელიც თავს მოუყრის სახსრებს. როგორც ითქვა, წესდება მზადაა, მხოლოდ რეგისტრაციის ფორმალური მხარე დარჩა მოსაგვარებელი.

ფედერაცია რეალურად შეასრულებს ქვეყანაში ძიუდოს განვითარების ხელმძღვანელობის, კოორდინაციისა და კონტროლის წესდებით მინიჭებულ ფუნქციას. რეგიონებთან ცოცხალი, საქმიანი ურთიერთობის განსამტკიცებლად და ერთიანი პოლიტიკის გასატარებლად ქალაქებსა და რაიონებში დაინიშნება მწვრთნელი ფედერაციის ფონდიდან. კონკრეტულად აღირიცხება ყველა ასაკობრივი ჯგუფი და მწვრთნელთა კადრები, რაც რეალურ სურათს შექმნის ძიუდოს მდგომარეობაზე ქვეყანაში. აქვე დავსძენთ, რომ ფედერაციებსაც შეეხო სეკვესტრი და ახლა ერთი 45-ლარიანი საშტატო ერთეული დარჩა მხოლოდ. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ძიუდოს ფედერაციის ძალისხმევა, თავად მოიზიდოს სახსრები, უდავოდ მისასალმებელია და სამაგალითო. ქართული სპორტი კარგა ხანია იძირება და „მაშველი რგოლი" ყველამ თავად უნდა მოიძიოს, ისე როგორც ამას ძიუდოს ფედერაცია აკეთებს.

ძიუდოს ფედერაცია, თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისად შიდასტრუქტურული ცვლილებების ძიების პროცესსაც ახორციელებს. აქ ორგანიზაციული საქმიანობის სტრუქტურის დახვეწას სამართლიანად მიიჩნევენ წინსვლის ჯერ კიდევ გამოუვლენელ და ეფექტურ რეზერვად. ალმასკომზე ამ საკითხზეც იმსჯელეს. მხოლოდ რამდენიმე, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვან სიახლეს შევეხებით. ამიერიდან ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს მხოლოდ ერთი უფროსი მწვრთნელი ეყოლებათ. ეს მისია ერთხმად მიანდეს ნიჭიერებით გამორჩეულ მწვრთნელს ჯემალ ნათელაშვილს, რომლის აღსაზრდელები წლების მანძილზე წარმატებით გამოდიან საერთაშორისო ტატამზე. ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელის შოთა ხაბარელის ეს წინადადება იმდენად არგუმენტირებული იყო, რომ მხარი ყველამ ერთსულოვნად დაუჭირა. „საერთო ხელმძღვანელობას მე გავუწევ" — დასძინა შ. ხაბარელმა და ამით მკაფიოდ მიანიშნა იმ უწყვეტ კავშირზე, რაც ჩვენში ძიუდოისტთა თაობების მემკვიდრეობითობას უზრუნველყოფს.

ითქვა, რომ ამიერიდან ძიუდოშიც ჩატარდება კომერციული ტურნირები. „A" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი, მაგალითად, გრან-პრის ასპარეზობით შეიცვლება ნაკრებების დონეზე გუნდების მონაწილეობით. მოკლედ, სპორტის ეს სახეობაც პროფესიული ხდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი: თბილისში, კერძოდ, ძიუდოს დარბაზში გაიხსნება კეთილმოწყობილი ოფისი, რომელიც კლუბის ფუნქციას შეასრულებს, სადაც სხვადასხვა თაობის სპორტსმენები და სპეციალისტები შეხვდებიან ერთმანეთს. ასე რომ, ლაპარაკი ძიუდოს ერთიანი, მონოლითური ოჯახის შექმნაზე, ლიტონ სიტყვებად არ დარჩება.

ალმასკომის სხდომაზე განაწილდა ფუნქციები ვიცე-პრეზიდენტებს შორის, რაც კიდევ უფრო მოქნილს გახდის და ორგანიზაციულად განამტკიცებს ფედერაციის საქმიანობას.

თ. თომაშვილი

**ძიუდო საერთაშორისო ტურნირი**

# ჭაბუკების დიდი ტურნირი



თბილისის, ქუთაისის, გორის, ჭიათურის, წყალტუბოს, გურჯაანის, დუშეთის, საგარეჯოს, მარნეულის, მარტყოფის, გლდანის, სპორტსაზოგადოებების „შევარდენის", „დინამოს", „მართვეს" და „ლოკომოტივის", აგრეთვე ერევნიდან ჩამოსული სტუმრები, სულ 257 ჭაბუკი ძიუდოისტი მონაწილეობდა თბილისში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც აკაკი ოქროპირიძის ხსოვნას მიეძღვნა.

**ქვარცხლბეკი.** ***23 კგ:*** 1. არამის მარქარიანი (ერევანი), 2. დათო თათარაშვილი (დუშეთი), 3. ანდრო წიქარიძე („შევარდენი") და რატი დადვანი (მარნეული); ***26 კგ:*** 1. ნიკა კუსიანი („შევარდენი"), 2. ლევან ოთინაშვილი („მართვე"), 3. ბექა კაპანაძე და ლაშა ლომიძე (ორივე — გორი); ***29 კგ:*** 1. შალვა რუაძე (გურჯაანი), 2. რობერტ მშვიდობაძე, 3. მიხეილ გიორგაძე („ორივე — გორი) და გიორგი თათრიშვილი („მართვე"); ***32 კგ:*** 1. ლევან შერმადინი („შევარდენი"), 2. არჩილ სინჯიკაშვილი (მარტყოფი), 3. ნიკო პაპოშვილი და შოთა ბეგიშვილი (ორივე — გურჯაანი); ***35 კგ:*** 1. თენგიზ პაპოშვილი (გურჯაანი), 2. გოგი წიკლაური („შევარდენი"), 3. ზაზა დევაძე (მარნეული) და ოთარ ლომიძე (გორი); ***38 კგ:*** 1. კახა შპეტიშვილი (მარტყოფი), 2. შოთა ვანიშვილი, 3. მიხეილ სუხიტაშვილი (ორივე — გორი) და რეზო აფრასიძე („შევარდენი"); ***41 კგ:*** 1. ბექა შუკვანი („ლოკომოტივი"), 2. ვალერი ლიპარტელიანი („დინამო"), 3. პაატა ლვინიაშვილი (გორი) და შალვა სუხიტაშვილი (მარტყოფი); ***45 კგ:*** 1. იაგო მესტვირიშვილი, 2. ილია გიორგაძე (ორივე — „შევარდენი"), 3. ვასილ ბერიძიშვილი (მარტყოფი) და მირიან ხოსრუაშვილი (გორი); ***50 კგ:*** 1. ანტონ ჩიტრეკაშვილი (მარტყოფი), 2. ლევან ნოზაძე („მართვე") 3. ალიკო ბენდიანაშვილი („შევარდენი") და ივანე პაპოშვილი (გურჯაანი); ***+50 კგ:*** 1. შოთა ყაველაშვილი („შევარდენი"), 2. ჰაიკ ხაჩატურიანი (სომხეთი), 3. ზვიად ტარუაშვილი და გივი კაპანაძე (ორივე — გორი).

„ჭაბუკებმა კარგი მომზადება და გამარჯვებისთვის ბრძოლის ჟინი გამოავლინეს, კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ყველაზე უმცროსმა მოჭიდავეებმაც კი — ამირან ზაალიშვილმა და მერაბ გიორგაძემ" — თქვა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა გიორგი დილმელაშვილმა.

სპეციალური პრიზები გადაეცათ გამორჩეულ ძიუდოისტებს აკაკი ოქროპირიძეს, იაგო მესტვირიშვილს, ვაჰან გევორქიანს. „შევარდენის" სპორტსკოლამ მადლობა გადაუხადა სომხეთის გუნდის ხელმძღვანელებს სამველ ავდალიანს და არტურ ჰახუმიანცს ტურნირში მონაწილეობის მიღებისათვის.

ირაკლი ხანდამიშვილი

**საერთაშორისო ფედერაციებში**

# ფარიკაობაში ადგილი შევინარჩუნეთ

*ყოველი ოლიმპიური თამაშების შემდეგ სპორტის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციები კონგრესს ატარებენ, აანალიზებენ გაწეულ საქმიანობას და ირჩევენ ფედერაციის ახალ შემადგენლობას, ცხადია, პრეზიდენტის ჩათვლით.*

*ამჯერად ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის ყრილობა გაიმართა პარიზში ამ ორგანიზაციის წევრი 98 ქვეყნის (სულ 104 წევრია) წარგზავნილთა მონაწილეობით. საქართველოდან ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩვენი ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იური ოსიპოვი და გენერალური მდივანი მორის სახვაძე.*

*პრეზიდენტის პოსტზე კვლავ ფრანგი რენე როკი იყრიდა კენჭს. აღსანიშნავია, რომ ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ იგი მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით გახდა პრეზიდენტი. ამჯერად კი შთამბეჭდავი უპირატესობით 74:24 დაამარცხა მეტოქე კანდიდატი უნგრელი ენო კამუტი. ყრილობამ აირჩია აგრეთვე აღმასრულებელი ორგანო და კომისიები. სასიხარულოა, რომ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კომისიაში, რომელშიც მსაჯთა ხელმძღვანელობა შევიდა, კვლავ შეინარჩუნა ადგილი მორის სახვაძემ. აქ 9 ადგილზე 23 პრეტენდენტი იბრძოდა. ფარული კენჭისყრით მორის სახვაძე მეექვსე იყო.*

# მოჭადრაკეთა ყრილობა

23 დეკემბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში მოწვეულია ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის მორიგი საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დელეგატების რეგისტრაცია იქნება 11 საათიდან.

# ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

# დედაქალაქის ფეხბურთს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

**არჩევნების შედეგები ერთობ შთამბეჭდავი გამოდგა: საარჩევნო ყუთში ჩაყრილი 50 ბიულეტენიდან 49-მ ხმა მისცა ავთანდილ კოკაიას. ვინ იცის, ეგება პრეზიდენტობის კანდიდატს ასპროცენტიანი შედეგისთვისაც გამოეკრა ხელი, მაგრამ ხმის დამთვლელმა კომისიამ ერთი ბიულეტენი ბათილად სცნო. უფრო ადრე კი, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის მეორე კანდიდატმა, ს.კ. „მერანის“ წევრმა გენადი ქიქავამ ასე ახსნა საკუთარი კანდიდატურის მოხსნა: „კოკაიას მიერ წარმოდგენილ სამომავლო პროგრამას მთლიანად ვიწონებ და ვიზიარებ, ამიტომაც გზას ვუთმობ უფრო ღირსეულს“.**

## როგორ შთანთქა გარაჟებმა ფეხბურთი

მაშ ასე, გუშინ თბილისურ ფეხბურთს ახალი ხელმძღვანელი მოევლინა. ეს არის წარსულში თბილისის „ლოკომოტივის“ მოთამაშე, შემდგომში ცნობილი მსაჯი, მერე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე, ბოლოს კი თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ავთანდილ კოკაია.

თფფ-ს II კონფერენციაზე, ცხადია, გაწეული მუშაობის შედეგები შეაჯამეს. საანგარიშო მოხსენება თავად კოკაიამ გააკეთა პრეზიდენტის არყოფნის გამო. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თბილისს, როგორც ცხოვრების ყველა სფეროში, სპორტშიც და, კერძოდ, ფეხბურთში ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა. თუ დღეს ამ დუხჭირ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქვეყანაში ფეხბურთი სიკვდილს გადაურჩა, ამაში დედაქალაქის ფედერაციის მუშაკთა საკმაო წვლილიცაა.

თფფ-მ ფუნქციონირება დაიწყო 1995 წლის მაისიდან და ამ ხნის მანძილზე მისი აღმასკომი 15-ჯერ შეკრებილა და ფეხბურთის განვითარების ბევრი პრობლემა განუხილავს და გადაუწყვეტია — ბავშვთა და მასობრივი ფეხბურთი, მსაჯთა და მწვრთნელების მომზადება, კლუბების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე ზრუნვა და მრავალი სხვა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქალაქში სპორტული მოედნებისა და ბაზების მდგომარეობის საკითხს. ფაქტი სავალალოა — სოკოებივით მომრავლებულმა გარაჟებმა, ფაქტობრივად, ისინი შთანთქა. „ჩვენ ბევრს ვიბრძვით თითოეული მოედნის გადასარჩენად, ამაში დიდად გვეხმარება მერიის ტურიზმისა და სპორტის სამსახურის უფროსი ვლადიმერ კანკავა, ცხადია, არც სფფ დგას განზე, მაგრამ ჩვენი ძალისხმევა ეტყობა არ ჰყოფნის და ამ მიმართებით კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი“.

## რით ვუშველოთ ფეხბურთს?

***ბავშვთა ს.კ. „სიონის“ მწვრთნელის თემურ მერაბიშვილის გამოსვლიდან:*** „საფეხბურთო მწვრთნელები სოციალურად დაუცველები ვართ. ამ დუხჭირ ცხოვრებაში თუ ერთმანეთს მხარში არ დავუდექით, გადარჩენა გაგვიჭირდება. ამას წინათ, შევიკრიბეთ და გამოსავალი მოვძებნეთ — უახლოეს მომავალში ჩამოვაყალიბებთ „ქართულ ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელთა ფონდს...“

„სავსებით ვეთანხმები ავთანდილ კოკაიას სამომავლო პროგრამის იმ ნაწილს, სადაც თფფ-ს ძალისხმევა მიმართული იქნება იქითკენ, რომ კლუბების ბაზაზე შეიქმნას შპს-ები და მათ დაუკანონდეთ ის სპორტული მოედნები, სადაც ფუნქციონირებს, ამასთან, მოედნები რამდენიმე წლით უნდა განთავისუფლდეს მიწის გადასახადიდან...“

***თბილისის „ლოკომოტივის“ ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე მერაბ იაშვილი:*** „აშკარად იგრძნობა საკანონმდებლო ვაკუუმი — რა ხანია პარლამენტში განსახილველად დევს კანონი ფეხბურთის შესახებ, მაგრამ...“

***ვეტერანი მწვრთნელი და მსაჯი ჯემალ გაბისონია:*** „დღეს ქვეყანაში დიდი გაჭირვებაა, მთავრობას ფეხბურთისთვის არ სცალია, ამიტომ ჩვენ თვითონ უნდა გამოვნახოთ არსებული რეზერვები, ბევრი რამ ენთუზიაზმი ვაკეთოთ...“

***სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო:*** „მზად ვართ შემდგომშიც მხარში დავუდგეთ თფფ-ს მსაჯების მომზადების საკითხში, მომავალშიც გადავცემთ მსაჯებს უეფადან მოსულ მსაჯთა ფორმებს“.

***სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ყიფიანი:*** „სწორედ თფფ-ში დაინერგა პირველად ნორჩ ფეხბურთელთა მონაცემების კომპიუტერული დამუშავება...“

***ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსი ვლადიმერ კანკავა:*** „სტადიონების ექსპანსია, დატაცება, სამწუხაროდ, კვლავ გრძელდება და ამას წინ ყველა უნდა აღვუდგეთ — მერიაც, სფფ-ც“.





**ჯემალ ჩიკაშვილი**

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

**უმაღლესი ლიგა**

# „იბერიას“ ვერაფერი უშველის, სხვა კი ბურუსითაა მოფენილი

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში საზამთრო არდადეგები გამოცხადდა. მორიგი XVIII ტურის მატჩები მხოლოდ 28 თებერვალს გაიმართება. წლევანდელი გათამაშება უწინდელებისაგან განსხვავებით გაცილებით უფრო საინტერესოდ, დაძაბულად მიმდინარეობს. გუნდების რაოდენობის შემცირებამ და ახლებური სისტემით ჩატარებამ მეტი ინტრიგა შემატა ასპარეზობას. ბრძოლა მიმდინარეობს არამარტო თითოეული ქულისთვის, არამედ გატანილი ბურთისთვისაც კი, ვინაიდან პირველი ეტაპის შედეგების შეჯამებისას სწორედ გატანილი და მიღებული გოლების რაოდენობა შეიძლება იქცეს განმსაზღვრელი გუნდების პირველ და მეორე ექვსეულში განაწილებისათვის.

მაშ ასე, ჩასატარებელი დარჩა 5 ტური. რა შანსები გააჩნიათ გუნდებს? მოდით, ჯერ სატურნირო მდგომარეობას გადავავლოთ თვალი (იხ.ცხრილი)



*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო*

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 17 | 14 | 1 | 2 | 32-7 | (+25) | 43 |
| ტორპედო | 17 | 12 | 3 | 2 | 28-6 | (+22) | 39 |
| დინამო (თბ) | 17 | 12 | 1 | 4 | 43-17 | (+26) | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 26-12 | (+14) | 32 |
| კოლხეთი-1913 | 17 | 8 | 3 | 6 | 19-14 | (+5) | 27 |
| მერანი-91 | 17 | 6 | 6 | 5 | 17-17 | (0) | 24 |
| დინამო (ბთ) | 17 | 6 | 3 | 8 | 22-24 | (-2) | 21 |
| სიონი | 17 | 4 | 4 | 9 | 12-27 | (-15) | 16 |
| გორდა | 17 | 3 | 7 | 7 | 13-22 | (-9) | 16 |
| დილა | 17 | 4 | 3 | 10 | 13-32 | (-19) | 15 |
| თსუ | 17 | 4 | 2 | 11 | 17-32 | (-15) | 14 |
| იბერია | 17 | 0 | 2 | 15 | 3-35 | (-32) | 2 |

როგორც ხედავთ, პირველ ექვსეულში პრაქტიკულად თითქმის ყველაფერი გარკვეულია. „თითქმის“ იმიტომ, რომ აქ ბრძოლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს მეექვსე და მეშვიდე ადგილებზე მყოფ „მერანსა“ და ბათუმის „დინამოს“ შორის, რომელთაც მხოლოდ 3 ქულა ჰყოფთ ერთმანეთისაგან. რაკი ამ გუნდებზე ჩამოვარდა სიტყვა, გადავხედოთ, ვისთან დარჩათ მათ სათამაშო.

**მერანი-91.** შინ — ტორპედო, დინამო (თბ), ლოკომოტივი. სტუმრად — სიონი, დინამო (ბთ).

**დინამო (ბთ).** შინ — კოლხეთი-1913, მერანი-91. სტუმრად — ლოკომოტივი, დილა, იბერია.

ეტყობა, აქ ყველაფერი ბოლოსწინა XXI ტურში გადაწყდება, როდესაც ბათუმელები მერანელებს შინ მიიღებენ.

ახლა იმაზეც ვთქვათ, რა სათამაშო კალენდარი აქვთ სხვა გუნდებს.

**ლოკომოტივი.** შინ — დინამო (ბთ), ვიტ ჯორჯია, დილა. სტუმრად — კოლხეთი-1913, მერანი-91.

**ტორპედო.** შინ — იბერია, თსუ. სტუმრად — მერანი-91, გორდა, ვიტ ჯორჯია.

**დინამო (თბ).** შინ — დილა, იბერია. სტუმრად — კოლხეთი-1913, მერანი-91, გორდა.

**ვიტ ჯორჯია.** შინ — გორდა, თსუ, ტორპედო. სტუმრად — ლოკომოტივი, კოლხეთი-1913.

**კოლხეთი-1913.** შინ — დინამო (თბ), ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია. სტუმრად — დინამო (ბთ), დილა.

**სიონი.** შინ — მერანი-91, გორდა. სტუმრად — დილა, იბერია, თსუ.

**გორდა.** შინ — ტორპედო, დინამო (თბ). სტუმრად — ვიტ ჯორჯია, თსუ, სიონი.

**დილა.** შინ — სიონი, დინამო (ბთ), კოლხეთი-1913. სტუმრად — დინამო (თბ), ლოკომოტივი.

**თსუ.** შინ — გორდა, სიონი. სტუმრად — იბერია, ვიტ ჯორჯია, ტორპედო.

**იბერია.** შინ — თსუ, სიონი, დინამო (ბთ). სტუმრად — ტორპედო, დინამო (თბ).

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ მოყვანილი მონაცემებიდან? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გათამაშების მეორე ეტაპზე არსებული დებულებით გუნდებს ქულები უნახევრდებათ, ბრძოლა ჩემპიონობისათვის უაღრესად დაძაბული იქნება: პირველ სამეულს ერთმანეთისაგან, ფაქტობრივად, 2-3 ქულა აშორებს.

ასეთივე უშეღავათო პაექრობაა მოსალოდნელი სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში მოხვედრილ გუნდებს შორის. დღეს მხოლოდ ის შეიძლება ითქვას დაბეჯითებით, რომ საგაისოდ უმაღლეს ლიგას სამტრედიის „იბერია“ დატოვებს. ვინ იქნებიან სხვა უიღბლონი, ამას მხოლოდ მაისში შევიტყობთ.

## ექიმთა პროგრეს-კურსები

19-20 დეკემბერს თბილისს უეფას სამედიცინო კომისიის წევრი **მაგნუს კროიცფელდი** ესტუმრება. დანიელი სპეციალისტი ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბებისა და ნაკრები გუნდების მედიკოსებს პროგრეს-კურსებს ჩაუტარებს. სემინარი სპორტული მედიცინის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნება. ჩატარდება თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. პროგრეს-კურსები, რომელიც უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ტარდება, სასტუმრო „თორში“ გაიმართება.

# სამი შეკითხვა ფეხბურთის სპეციალისტებს

საფეხბურთო სამყაროში მრავალი გამოკითხვა ტარდება. დგინდება საუკეთესო კლუბები, მწვრთნელები, ფეხბურთელები, ცხადდება სხვადასხვა ნომინაციის ლაურეატები. „ლელომ" სამი შეკითხვით მიმართა ქართულ ფეხბურთში ჩაბმულ სპეციალისტებს. მათი პასუხები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა, არის განსხვავებებიც, მაგრამ რაც მთავარია, თითოეულის ლაპარაკში ოპტიმიზმი და ქვეყანაში ფეხბურთის წინსვლის პერსპექტივები იკვეთება, რაც შეეხება მწვრთნელებს და ფეხბურთელებს, მათ ამორჩევაში თითქმის ყველა ერთსულოვანი იყო.

***1. როგორ შეაფასებდით საქართველოს საფეხბურთო ცხოვრებას 2000 წელს და რა ღირსსახსოვარ მოვლენებს გამოყოფდით?***

***2. თქვენი აზრით, ვინ მიგაჩნიათ 2000 წლის საუკეთესო საფეხბურთო მწვრთნელად საქართველოში?***

***3. ვის დაასახელებდით 2000 წ.-ის საუკეთესო ფეხბურთელად საქართველოში და უცხოეთში მოთამაშე ქართველი ლეგიონერებიდან?***

ყველაზე საფუძვლიანი პასუხი **ილია მჭედლიშვილმა** გაგვცა:

1. მე უფრო სოციალურ საკითხზე ვილაპარაკებ. თითქმის ყველა კლუბს უჭირს, ზოგან გაუსაძლისი მდგომარეობაა, მაგრამ ოპტიმისტი ვარ და მჯერა, ქვეყანა ფეხზე დადგება და ისევ ისეთი დიდი ფეხბურთი გვექნება, როგორიც რამდენიმე წლის წინათ იყო. ყველაზე ღირსსახსოვარი მოვლენა გერმანიის ვეტერანების ნაკრები გუნდის სტუმრობა იყო. 6 აპრილს ეროვნულ სტადიონზე 30.000 მაყურებელი მოვიდა, რათა კიდევ ერთხელ თვალი შეევლო ქართველი და გერმანელი ფეხბურთის დიდოსტატებისთვის. ამდენი გულშემატკივარი დიდი ხანია ფეხბურთს არ მოუზიდავს. აღსანიშნავია ნაკრების კარგი თამაში საკვალიფიკაციო მატჩებში. საერთოდ, სოციალური პირობების მოუგვარებლობა მკვეთრად აისახება როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო დონეზე. თუმცა ვიმედოვნებ, დროთა განმავლობაში ყველაფერი დალაგდება, და ჩვენც უფრო მაღალ შედეგებზე ვიფიქრებთ.

2. მწვრთნელებიდან საუკეთესონი ძოძუაშვილი და ყიფიანია, ვაფასებ მურთაზ ხურცილავას, ახალგაზრდებიდან რევაზ არველაძეს გამოვყოფდი.

3. ლეგიონერებიდან — შოთა არველაძეს, ხოლო ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშეებიდან — თბილისის დინამოელ არჩილ სახვაძეს.

**ფეხბურთის ფედერაციის სხვა თანამშრომლებმა უფრო საერთო აზრი გამოთქვეს, ვიდრე საკუთარი.**

**გია ისიანი:**

1. ჩემპიონატმა დაძაბულობა და სიმძაფრე შეიძინა, რაც გათამაშების ახალი სისტემის დამსახურებაა.

2. შედეგებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ძოძუაშვილი და ყიფიანი.

3. ფეხბურთელებიდან ხიზანიშვილს და კალაძეს გამოვარჩევდი.

**მამუკა კვარაცხელია:**

1. უეჭველია, ჩემპიონატმა გაამართლა. იგი ალბათ საუკეთესოა ბოლო 5 წლის მანძილზე.

2. ყიფიანს და ძოძუაშვილს.

3. აკაკი დევაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, კახა კალაძე.

**სამსაჯო-საინსპექციო კომიტეტი (მილჩენკო, დურსუნიში, გუნთაძე, შალამბერიძე).**

1. სეზონს დადებითად შევაფასებდით. მთავარია, მომავლის პერსპექტივა ჩანს. ეროვნული გუნდი სწორ გზას ადგას. თუ ეკონომიკური პირობები გაუმჯობესდა, მწვრთნელები და ფეხბურთელები თავიანთ შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოავლენენ.

2. თუ შეიძლება სამეულს დავასახელებთ — ძოძუაშვილი, ყიფიანი, ფილია.

3. ქეცბაია, დევაძე, გადელია, ხიზანიშვილი, იონანიძე.

**საშეჯიბრო კომიტეტი (ფირცხალავა, კაკულია, ლაცაბიძე)**

1. წლეულს აღსანიშნავი ის არის, რომ საქართველოს ახალი ჩემპიონი ჰყავს, გაამართლა ჩემპიონატის ახალმა სისტემამ, რაც დადებითი მოვლენაა. მსაჯობაც გაუმჯობესდა.

2. მწვრთნელებიდან გამოვყოფდით კორღალიძეს, ძოძუაშვილს, ყიფიანს და რეზო არველაძეს.

3. ფეხბურთელებიდან: ლევან კობიაშვილს, კახა კალაძეს და გიორგი ნემსაძეს. ზურაბ ხიზანიშვილს, ლევან სილაგაძეს და აკაკი დევაძეს.

ესაუბრა
**საბა ლომინაძე**

## მინი-ვარიაცია უსაყვარლეს თემაზე

# დინამო! დინამო! ანუ მარადონა პელეა?!

კარგი რამ არის ცხოვრება, განსაკუთრებით მაშინ, თუ მის უმშვენიერეს პერიოდში კერპი ან კერპისმაგვარი ეგულებოდა კაცს. ბევრი გვაწონებდა მაშინ თავს, – აქეთ პლატინი, იქით ელკიაერი, რუმენიგე, მაგრამ ერთი ისეთიც იყო, რომელიც ყველასაგან განზე იდგა. ვითომდა ბედნიერი ბავშვობის მქონე განებივრებულნი ბევრი რამით სულაც არ ვიყავით: გვქონდა „ლელო" და ღვაწლმოსილი ტელეჟურნალისტის საყვარელი გადაცემა. კიდევ, ჯადოსნური მწვანე მდელო თბილისის ოდნავ მოშორებით, საიდანაც მანქანის აკუმულატორზე მიერთებული „შილიალასით" თვალწინ გვეშლებოდა კერპთა თუ კერპისმაგვართა სამყარო. გული გვეწურებოდა, გვშურდა, რომ სხვები ჩვენზე უკეთესად ისრუტავდნენ ვნებას, მაგრამ მთავარი ხომ გაგება და გულია, ჟიგარი და სიყვარული. იმ დროისათვის თანამდევი და, ალბათ ყველაზე აქტუალური, თემა-გამოცანა კი შემდეგი გახლდათ: მარადონა პელეა?! იყო ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი კამათი ერთნაირი ენდშპილით – ორი ტიტანის შედარება მათი ადამიანური, კაცური ღირსებების ჭიდილით მთავრდებოდა. დიეგოს შილტონის ხელით დაჯაბნაში სდებდნენ ბრალს, პელეს კი სიყრმეში თანაგუნდელების მიერ „დავაჟკაცებას" – უხსენებდნენ. ჩვენ ჩვენი ეპოქის კაცზე ვიდექით, თუმცა გაგონილი და ტელევიზორით ხშირად წარმოჩენილი პელე არ ვიკმარეთ. კინემატოგრაფიაც ჩავრთეთ საქმეში, მაგრამ ვერც ზეწარზე დანახული პელე აღმოჩნდა დიეგოზე შთამბეჭდავი. ასეა თუ ისე, ეს თემა-გამოცანა წარსულის ტვირთივით შემოგვრჩა ახლაც.

მაგრამ, ნაღდი ნირვანა მაინც სხვა რამ იყო, როცა პიონერული საყვირებით, საბჭოთა საქართველოს დროშებითა და ლურჯ-თეთრი ტრადიციული ალმებით შევყუჟდებოდით ხოლმე ვ.ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონის სამხრეთ თუ ჩრდილოეთ ტრიბუნების ზედა რიგებში. სიყვარული ალბათ ყველაზე რთული გრძნობაა. ეს არ არის ერთი მთლიანი რამ, ეს არის უამრავი ნაწილისგან შემდგარი მოვლენა, რომელიც, რატომღაც ერთ სიტყვაშია გაერთიანებული. მთავარია, ვინ რას გულისხმობს ამ სიტყვაში, რომლის იქით ერთმანეთის არა მსგავსი, უამრავი განცდა იმალება. ბავშვობა-სიყმაწვილის დროინდელი სიყვარული კი წესად და კანონად ქცეულ აუცილებელ სიგიჟეს უფრო ჰგავს, ბატონებივით მოსახდელს. აი, რაღაცნაირი, ასეთი სიყვარულით გვიყვარდა (გვიყვარს) კიდევაც „დინამო". როგორც ჩანს, კაცის სულში პირველად გრძნობა ილვიძებს და მხოლოდ მერე ჩნდება საგანი, რომლისკენაც გინდა ეს გრძნობა მიმართო. საგანი კი არ იწვევს გრძნობას, არამედ შენში, საგნამდე არსებული გრძნობა პოულობს საგანს და ის იქცევა შენი გატაცების ობიექტად. ალბათ, ასე ვიპოვეთ ჩვენი „დინამო". ის იყო უბედნიერესი ხანა, როცა ცხოვრებას ჯერაც ვერ დაეჭმუხნა ფრთები ოცნებისთვის.

ახლა კი დიდი გამარჯვებების ვერმოიმედე „დინამოს" ამარა ვართ. ეროვნულ ნიჰილიზმთან ერთად, სულიც დაფიტული გვაქვს. სტადიონზე აღარც გამაყრუებელი ყიჟინა ისმის და აღარც ვაჟა აზარაშვილის „დინამო, დინამო!". ბევრს ყოველივე ნაცრისფრად ეჩვენება. მაგრამ, ალბათ არც მუსიკას, არც ფერს, არაფერს არ შეუძლია კაცის სული მთლიანად მოიცვას. პირადად მე, ინტუიციის იმედად ვარ, რომელიც ბუნდოვანი აზრია, უცნაური ცოდნა, არავითარ საფუძველსა და კონტროლს არ ექვემდებარება, მაგრამ კარგს კი მეუბნება.

თანამედროვე ნედლი თაობა გაცილებით უფრო ერუდირებულია და თავისუფალი. მისი „დინამოს" მიმართ დამოკიდებულებაც სხვანაირია. მაგრამ რაღაც უთქმელი და თვალით უხილავი ისევ ისე დარჩა, დიდად არ შეცვლილა, რადგან ამ ქვეყნად ბევრი რამ მეორდება, ბევრი რამ მხოლოდ გარეგნულ სახეცვლილებას განიცდის. სრული თავისუფლება კი მაინც არ ვარგა, მეტისმეტად თავკერძი ხდები კაცი. აუცილებლად უნდა იყო შებოჭილი რაღაცის სიყვარულით, მოვალეობის გრძნობით, რათა კაცის სახე შეინარჩუნო, თუ არადა, მუდამ მარტოსული იქნები და არავითარი ფასი არ ექნება თავისუფლებას.

... და თემა-გამოცანისა არ იყოს, გარკვეულწილად „დინამოც" წარსულის ტვირთივით შემოგვრჩა. მაგრამ, ვგონებ, არ არის სწორი, როცა ამბობენ, რომ „დინამოც" თავის დროზე ძალიან გვიყვარდა, ეს „დინამო" კი... უკვე თვითონ სიტყვა „გვიყვარდა", გულისხმობს, რომ აღარ გვიყვარს. ახალ-ახალი პრობლემები, რომელიც ჟამთა სვლაში გვიჩნდება, იმ ვნებასაც აქრობს, ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძლიერი რომ იყო, მაგრამ არა „დინამოს" შემთხვევაში.

დავით თავართქილაძე

# რა ბიჭი დაგვაკლდა!

13 დეკემბერი ქართული ფეხბურთისთვის ავადსახსენებელი დღეა — 18 წლის წინათ ლიხს იქით, სოფელ [illegible]სასთან ავტოკატასტროფაში დაიღუპა სახელოვანი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოსა" და სსრ კავშირის ნაკრების ნახევარმცველი, 1981 წლის 13 მაისის დიუსელდორფის მატჩის გმირი ვიტალი დარასელია. ტრადიციისამებრ, დარასელიას ხსოვნის საღამოზე წელსაც შეიკრიბნენ მისი თანაგუნდელები — ალექსანდრე ჩივაძე, რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი, ნუკრი კაკილაშვილი, ნოდარ ხიზანიშვილი, ოთარ გაბელია, ილია რუხაძე, თემურ ესებუა (ვიტალის მეჯვარე), დარასელიების ოჯახის მეგობრები, თაყვანისმცემლები, სპორტული ჟურნალისტები. შეკრებილთ მასპინძლობა გაუწია ვიტალი დარასელიას მეუღლემ — ქალბატონმა მარინამ.

საღამოზე, ცნობილმა პუბლიცისტმა დემიკო ლოლაძემ შეკრებილთ დაურიგა ვიტალი დარასელიასადმი მიძღვნილი წიგნი, ხოლო ვეტერანმა ფეხბურთელებმა ლამაზი მოგონებებით გაახსენეს საზოგადოებას ვიტალი დარასელიას პიროვნება.



*ვიტალი დარასელია (№6) მეტოქეთა გარემოცვაში*

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია და ს.კ. „გურია" სამძიმარს უცხადებენ საფეხბურთო კლუბ „გურიას" ყოფილ პრეზიდენტს ამირან წილოსანს მეუღლის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საფეხბურთო კლუბები „გურია" და „ლოკომოტივი" სამძიმარს უცხადებენ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს შალვა კაკაბაძეს მეუღლის**

**დალი ქუთათელაძის**

**გარდაცვალების გამო.**

დაკრძალვა ხუთშაბათს, 21 დეკემბერს 14 საათზე. ცაბაძის ქუჩა, I კორპ.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ადამსს „უოტფორდი" იწვევს

**ლონდონის „არსენალის" კაპიტანი ტონი ადამსი შეიძლება პირველი დივიზიონის „უოტფორდში" გადავიდეს, სადაც მთავარ მწვრთნელს გრემ ტეილორს შეცვლის.**

**ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გრემ ტეილორი, რომელსაც ძალიან უყვარდა ადამსი, როგორც ფეხბურთელი, ახლა მას ამ კლუბში თავის შემცვლელად თვლის: მან მიიწვია კიდეც ადამსი, მაგრამ ფეხბურთელი, რომელმაც მთელი თავისი კარიერა „არსენალში" გაატარა, ჯერ არ ჩქარობს თამაშის დამთავრებას.**

**— დიდ პატივს ვცემ გრემს, რომელიც მძიმე წუთებში მეხმარებოდა, ისე კი, აუცილებლად ვიფიქრებ მის წინადადებაზე სეზონის დამთავრების შემდეგ.**

### კალმუნდი უკმაყოფილოა

მას შემდეგ, რაც ლევერკუზენის „ბაიერმა" პრინციპული მატჩი წააგო (0-2) მიუნხენში „ბაიერნთან", მისი მენეჯერი რაინერ კალმუნდი აღშფოთებას ვერ მალავდა.

— კიდევ გავუგებდი ფეხბურთელებს. ასეთ მშიშარა მოქმედებას ჯოჯოხეთში რომ ეთამაშათ, მაგრამ ასეთი შიში მიუნხენში უკვე დიდი გამოცანაა ჩემთვის. როცა „ბაიერნი" ხანდახან ძალიან სუსტად მეორე ლიგის დონეზე თამაშობს, ჩვენ მაინც უნდა „გადავასწროთ" მას.

### აღსდგება დუეტი შევჩენკო-რებროვი?

**ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" უკრაინელმა თავდამსხმელმა სერგეი რებროვმა შეიძლება მალე დატოვოს ინგლისი. მასზე პრეტენზიას „მილანი" და დორტმუნდის „ბორუსია" აცხადებენ.**

**შარშან ზაფხულში „ტოტენჰემმა" კიევის „დინამოსაგან" 11 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა რებროვი, მაგრამ ლონდონელებს მაინცდამაინც არ გამოადგა: „ტოტენჰემის" მწვრთნელი ჯორჯ გრემი უკმაყოფილოა მისი თამაშით და ინგლისური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავ ფრენსის ჯეფერსის ყიდვას აპირებს „ევერტონიდან". რაც შეეხება რებროვს, მას კლუბი 8 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეელევა, ეს ფასი კი უკვე ორ დიდ კლუბს აძლევს ხელს. თუ რებროვი „მილანში" გადავიდა, მაშინ აღსდგება განთქმული დუეტი შევჩენკო-რებროვი.**

### ინგლისელები კინს იბრუნებენ

ირლანდიის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელი რობი კინი ზაფხულში მილანის „ინტერში" გადავიდა. მანამდე იგი „კოვენტრ სიტიში" თამაშობდა, 20 წლის ახალგაზრდას იტალიაში არაფერი გამოუვიდა. იგი ხანდახან თუ გამოდის შეცვლაზე. ინგლისელებს სულაც არ დავიწყებიათ იგი და ახლა მისი შეძენა ერთბაშად ორ კლუბს სურს: „ჩელსის" და „ლიდს იუნაიტედს". „ჩელსის" ძალიან სჭირდება მაღალი კლასის თავდამსხმელი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფლომ დატოვა კლუბი, „ლიდს იუნაიტედს" კი მას შემდეგ, რაც დიდი თანხა დახარჯა რიო ფერდინანდში, ახლა მხოლოდ კინის იჯარის წესით ჩამოყვანა სურს.

# ნიგერიელების არაჩვეულებრივი ფათერაკები საქართველოში

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების გავრცელებული მასალების მიხედვით „ლელოს" მკითხველმა იცის, რომ 4 წლის წინათ ს.კ. „სამტრედიაში" გამოჩნდა ნიგერიელი ფეხბურთელი ბარი სალამი, რომელიც იფიცებოდა, რომ ოკოჩასა და სისიას ბავშვობის მეგობარი იყო. როგორც გაირკვა, სალამისგან ფეხბურთელი ვერ გამოვიდა, მაგრამ ქართული სამზარეულოს კერძები კი შეიყვარა, განსაკუთრებით ეს ხინკალზე ითქმის, ცხადია, წონაშიც საკმაოდ მოიმატა. აბა, ამისთანა მოთამაშეს ვინ აიყვანდა გუნდში? ბოლოს, „გივიმ" (ასე შეარქვეს ნიგერიელს ადგილობრივმა გულშემატკივრებმა) ადგილი ჰპოვა ბენზინგასამართ სადგურში ოპერატორად ანუ ბენზინის ჩამომსხმელად.

რამდენიმე ხნის წინათ, საქართველოში კიდევ ერთი ნიგერიელი „ფეხბურთელი" — მოშიმე ჩიქვანა გამოჩნდა — თავისუფალი აგენტი ვარ და მსურს რომელიმე გუნდში ვითამაშოო. აღმოჩნდა, რომ ჩამოსულმა წინასწარი განზრახვით „დაკარგა" პასპორტი და სთხოვა ნათესავებს არგენტინიდან გამოეგზავნათ მისთვის ახალი საბუთი. იქაურებმა მართლაც გამოუგზავნეს ბანდეროლი, მაგრამ მასში, პასპორტის ნაცვლად, კოკაინის სოლიდური პაკეტი იდო. ნიგერიელი მალე სასამართლოს წინაშე წარსდგება. აღმოჩნდა, რომ მას და სალამის დიდი ხანია ეძებს ინტერპოლი.

ამათ ფონზე მესამე ნიგერიელი ფეხბურთელი უჩე უვაკვე ანგელოზად მოსჩანს. ორი სეზონის წინათ, მან სულ ორიოდე მატჩი ითამაშა ბათუმის „დინამოში", არც ნარკოტიკების გასაღებაში იყო შემჩნეული, არც სვამდა, არც ეწეოდა. როცა შეიტყო, ბათუმის ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვერ დაიმკვიდრებდა, საქართველო დატოვა და უგზოუკვლოდ გაუჩინარდა...

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. XV ტური

| | |
|---|---|
| სარაგოსა – ლას პალმასი | 3-1 |
| ალავესი – დეპორტივო | 3-1 |
| ესპანიოლი – რეალი | 1-2 |
| ვალენსია – მალაგა | 2-0 |
| ოვიედო – რასინგი | 1-0 |
| რაიო ვალეკანო – ბარსელონა | 2-2 |
| სელტა – მალიორკა | 2-2 |
| ოსასუნა – ნუმანსია | 2-0 |
| სოსიედადი – ვილიარეალი | 0-2 |
| ვალიადოლიდი – ატლეტიკი | 0-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 15 | 9 | 4 | 2 | 27-9 | 31 |
| რეალი | 14 | 9 | 2 | 3 | 31-17 | 29 |
| დეპორტივო | 15 | 8 | 4 | 3 | 25-14 | 28 |
| რაიო | 15 | 6 | 6 | 3 | 32-22 | 24 |
| ალავესი | 15 | 7 | 3 | 5 | 23-15 | 24 |
| ბარსელონა | 15 | 7 | 3 | 5 | 29-22 | 24 |
| მალიორკა | 15 | 6 | 5 | 4 | 18-17 | 23 |
| ოვიედო | 15 | 7 | 2 | 6 | 20-22 | 23 |
| ვილიარეალი | 15 | 6 | 4 | 5 | 19-18 | 22 |
| ატლეტიკო | 15 | 5 | 4 | 6 | 20-21 | 19 |
| სელტა | 15 | 5 | 4 | 6 | 19-22 | 19 |
| სარაგოსა | 14 | 4 | 6 | 4 | 17-15 | 18 |
| მალაგა | 15 | 5 | 3 | 7 | 23-25 | 18 |
| ესპანიოლი | 15 | 5 | 3 | 7 | 15-18 | 18 |
| ლას პალმასი | 15 | 5 | 3 | 7 | 17-32 | 18 |
| ვალიადოლ. | 15 | 3 | 8 | 4 | 14-17 | 17 |
| ოსასუნა | 15 | 2 | 7 | 6 | 14-21 | 13 |
| რასინგი | 15 | 3 | 4 | 8 | 17-26 | 13 |
| ნუმანსია | 15 | 3 | 4 | 8 | 14-24 | 13 |
| სოსიედადი | 15 | 3 | 3 | 9 | 15-32 | 12 |

## ინგლისი
### პრემიერლიგა. XVIII ტური

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა – მანჩესტ. სიტი | 2-2 |
| დერბი – ქოვენთრი | 1-0 |
| ევერტონი – ვესტ ჰემი | 1-1 |
| იფსვიჩი – საუთჰემპტონი | 3-1 |
| ლიდსი – სანდერლენდი | 2-0 |
| ლესტერი – ჩარლტონი | 3-1 |
| მიდლსბრო – ჩელსი | 1-0 |
| ნიუკასლი – ბრედფორდი | 2-1 |
| მანჩესტ. იუნ. – ლივერპული | 0-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტ.იუნ. | 18 | 12 | 4 | 2 | 44-14 | 40 |
| არსენალი | 17 | 10 | 4 | 3 | 29-13 | 34 |
| იფსვიჩი | 18 | 10 | 3 | 5 | 27-18 | 33 |
| ლესტერი | 18 | 9 | 5 | 4 | 20-14 | 32 |
| ლივერპული | 18 | 9 | 3 | 6 | 33-24 | 30 |
| სანდერლ. | 18 | 8 | 5 | 5 | 18-18 | 29 |
| ნიუკასლი | 18 | 8 | 3 | 7 | 20-22 | 27 |
| ასტონ ვილა | 17 | 6 | 8 | 3 | 21-16 | 26 |
| ვესტ ჰემი | 18 | 6 | 8 | 4 | 24-19 | 26 |
| ლიდსი | 17 | 7 | 4 | 6 | 24-23 | 25 |
| ტოტენჰემი | 17 | 7 | 3 | 7 | 25-26 | 24 |
| ჩელსი | 18 | 6 | 5 | 7 | 32-25 | 23 |
| ჩარლტონი | 18 | 6 | 4 | 8 | 25-30 | 22 |
| ევერტონი | 18 | 6 | 4 | 8 | 20-29 | 22 |
| საუთჰემპტ. | 18 | 5 | 5 | 8 | 23-31 | 20 |
| მანჩესტ.სიტი | 18 | 5 | 3 | 10 | 25-32 | 18 |
| დერბი | 18 | 3 | 7 | 8 | 21-35 | 16 |
| ქოვენთრი | 18 | 4 | 3 | 11 | 16-33 | 15 |
| მიდლსბრო | 18 | 3 | 5 | 10 | 20-28 | 14 |
| ბრედფორდი | 18 | 2 | 6 | 10 | 13-30 | 12 |


ვოლფსბურგი – ლევერკუზ. 2-0

## იტალია
### სერია A. XI ტური

| | |
|---|---|
| ნაპოლი – რეჯინა | 6-2 |
| პერუჯა – ბარი | 4-1 |
| ბოლონია – ატალანტა | 0-1 |
| ინტერი – ბრეშია | 0-0 |
| ლაციო – რომა | 0-1 |
| ლეჩე – იუვენტუსი | 1-4 |
| პარმა – ვიჩენცა | 0-2 |
| უდინეზე – ფიორენტინა | 1-3 |
| ვერონა – მილანი | 1-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 11 | 9 | 1 | 1 | 23-8 | 28 |
| იუვენტუსი | 11 | 6 | 4 | 1 | 19-10 | 22 |
| ატალანტა | 11 | 6 | 4 | 1 | 16-8 | 22 |
| მილანი | 11 | 5 | 4 | 2 | 19-13 | 19 |
| ლაციო | 11 | 5 | 3 | 3 | 17-11 | 18 |
| ფიორენტინა | 11 | 4 | 5 | 2 | 20-16 | 17 |
| ბოლონია | 11 | 5 | 2 | 4 | 16-13 | 17 |
| პარმა | 11 | 5 | 2 | 4 | 13-10 | 17 |
| უდინეზე | 11 | 5 | 1 | 5 | 18-14 | 16 |
| პერუჯა | 11 | 3 | 4 | 4 | 15-16 | 13 |
| ინტერი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-14 | 13 |
| ვერონა | 11 | 2 | 6 | 3 | 14-18 | 12 |
| ვიჩენცა | 11 | 3 | 3 | 5 | 13-18 | 12 |
| ლეჩე | 11 | 3 | 3 | 5 | 9-18 | 12 |
| ნაპოლი | 11 | 2 | 4 | 5 | 14-18 | 10 |
| ბრეშია | 11 | 1 | 5 | 5 | 11-16 | 8 |
| ბარი | 11 | 2 | 2 | 7 | 9-19 | 8 |
| რეჯინა | 11 | 1 | 1 | 9 | 7-25 | 4 |

## თურქეთი
### XVI ტური

| | |
|---|---|
| ფენერბახჩე – სამსუნი | 2-1 |
| რიზე – ისთანბული | 2-1 |
| იოზგათი -- იეთფა | 2-1 |
| გაზიანთეფი – ერზრუმი | 6-1 |
| ბეშიქთაში – დენიზლი | 1-1 |
| ადანა – ქოჯაელი | 4-4 |
| ანკარა – ბურსა | 1-1 |
| ანთალია – გენჩლერბირ. | 4-2 |
| ტრაბზონი – გალათასარაი | 1-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 16 | 11 | 3 | 2 | 38-12 | 36 |
| ფენერბახჩე | 17 | 11 | 3 | 3 | 41-22 | 36 |
| ბეშიქთაში | 17 | 11 | 3 | 3 | 37-24 | 36 |
| გაზიანთეფი | 17 | 9 | 5 | 3 | 36-21 | 32 |
| გენჩლებირლ. | 17 | 9 | 3 | 5 | 24-19 | 30 |
| ტრაბზონი | 17 | 8 | 5 | 4 | 33-23 | 29 |
| სამსუნი | 17 | 8 | 4 | 5 | 28-22 | 28 |
| ისთანბული | 17 | 7 | 4 | 6 | 23-23 | 25 |
| იოზგათი | 17 | 6 | 5 | 6 | 25-21 | 23 |
| ანთალია | 16 | 6 | 5 | 5 | 24-25 | 23 |
| ანკარა | 17 | 5 | 7 | 5 | 24-28 | 22 |
| დენიზლი | 17 | 5 | 6 | 6 | 21-28 | 21 |
| რიზე | 17 | 4 | 4 | 9 | 17-21 | 16 |
| ბურსა | 17 | 3 | 6 | 8 | 20-35 | 15 |
| ადანა | 17 | 2 | 7 | 8 | 25-34 | 13 |
| ერზრუმი | 17 | 3 | 3 | 11 | 20-42 | 12 |
| ქოჯაელი | 17 | 1 | 7 | 9 | 18-33 | 10 |
| იეთფა | 17 | 0 | 6 | 11 | 18-39 | 6 |

## შოტლანდია
### XXI ტური

| | |
|---|---|
| სელტიკი – აბერდინი | 6-0 |
| დანფერმლაინი – სტ. მირენი | 2-0 |
| ჰიბერნიანი – სტ. ჯონსტონი | 2-0 |
| კილმარნოკი – დანდი | 2-3 |
| მოზერუელი – ჰართსი | 2-0 |
| დანდი იუნ. – რეინჯერსი | 1-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 21 | 17 | 3 | 1 | 54-21 | 54 |
| ჰიბერნიანი | 21 | 14 | 5 | 2 | 39-13 | 47 |
| რეინჯერსი | 20 | 13 | 3 | 4 | 43-23 | 42 |
| კილმარნოკი | 21 | 11 | 3 | 7 | 27-24 | 36 |
| ჰართსი | 21 | 8 | 4 | 9 | 31-32 | 28 |
| სტ. ჯონსტ. | 21 | 7 | 7 | 7 | 21-27 | 28 |
| დანდი | 20 | 7 | 5 | 8 | 29-23 | 26 |
| მოზერუელი | 21 | 7 | 4 | 10 | 27-31 | 25 |
| დანფერმლ. | 21 | 6 | 5 | 10 | 18-28 | 23 |
| აბერდინი | 20 | 3 | 8 | 9 | 19-34 | 17 |
| სტ. მირენი | 21 | 3 | 3 | 15 | 13-40 | 12 |
| დანდი იუნ. | 20 | 1 | 4 | 15 | 13-38 | 7 |

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XVIII ტური

| | |
|---|---|
| უნტერჰახინგი – აინტრახტი | 2-0 |
| ბოხუმი – კაიზერი | 0-1 |
| კიოლნი – შალკე | 2-2 |
| ჰანზა – დორტმუნდი | 1-2 |
| შტუტგარტი – ფრაიბურგი | 0-0 |
| ვოლფსბურგი – ლევერკუზ. | 2-0 |
| მიუნხენი 1860 – ჰამბურგი | 2-1 |
| კოტბუსი – ვერდერი | 3-1 |
| ჰერტა – ბაიერნი | 1-3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 18 | 10 | 4 | 4 | 37-19 | 34 |
| ბაიერნი | 18 | 10 | 3 | 5 | 37-20 | 33 |
| დორტმუნდი | 18 | 10 | 3 | 5 | 29-25 | 33 |
| ლევერკუზ. | 18 | 9 | 4 | 5 | 28-21 | 31 |
| კაიზერი | 18 | 9 | 3 | 6 | 26-23 | 30 |
| ჰერტა | 18 | 9 | 1 | 8 | 37-34 | 28 |
| ვოლფსბურ. | 18 | 7 | 6 | 5 | 36-24 | 27 |
| კიოლნი | 18 | 7 | 5 | 6 | 33-29 | 26 |
| ფრაიბურგი | 18 | 6 | 6 | 6 | 25-21 | 24 |
| მიუნხენი | 18 | 6 | 6 | 6 | 24-31 | 24 |
| ჰამბურგი | 18 | 6 | 3 | 9 | 35-34 | 21 |
| ჰანზა | 18 | 6 | 3 | 9 | 19-29 | 21 |
| ვერდერი | 17 | 5 | 5 | 7 | 23-29 | 20 |
| უნტერჰახ. | 17 | 5 | 5 | 7 | 19-27 | 20 |
| აინტრახტი | 18 | 6 | 2 | 10 | 22-31 | 20 |
| კოტბუსი | 18 | 6 | 2 | 10 | 22-32 | 20 |
| შტუტგარტი | 18 | 4 | 6 | 8 | 25-30 | 18 |
| ბოხუმი | 18 | 5 | 3 | 10 | 16-34 | 18 |

## საფრანგეთი
### I დივიზიონი. XXI ტური

| | |
|---|---|
| გენგამი – ოლიმპიკი | 1-0 |
| ლანსი – ბორდო | 2-2 |
| მეცი – ლილი | 1-1 |
| მონაკო – რენი | 1-2 |
| ნანტი – ტულუზი | 3-2 |
| სედანი – სტრასბური | 1-0 |
| სტ. ეტიენი – ოსერი | 2-0 |
| ტრუა – ლიონი | 1-0 |
| ბასტია – პსჟ | 1-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 21 | 10 | 6 | 5 | 31-21 | 36 |
| ნანტი | 21 | 11 | 3 | 7 | 36-28 | 36 |
| ბორდო | 21 | 9 | 8 | 4 | 29-18 | 35 |
| ლილი | 21 | 9 | 7 | 5 | 23-15 | 34 |
| ბასტია | 21 | 9 | 5 | 7 | 25-21 | 32 |
| ლიონი | 21 | 7 | 10 | 4 | 27-18 | 31 |
| ლანსი | 21 | 8 | 7 | 6 | 24-20 | 31 |
| ტრუა | 21 | 8 | 6 | 7 | 25-28 | 30 |
| რენი | 21 | 8 | 5 | 8 | 22-20 | 29 |
| პსჟ | 21 | 8 | 5 | 8 | 31-31 | 29 |
| გენგამი | 21 | 9 | 5 | 7 | 24-24 | 29 |
| სტ. ეტიენი | 21 | 7 | 6 | 8 | 29-29 | 27 |
| მონაკო | 21 | 7 | 5 | 9 | 29-30 | 26 |
| ოსერი | 21 | 7 | 5 | 9 | 21-26 | 26 |
| ოლიმპიკი | 21 | 7 | 3 | 11 | 21-26 | 24 |
| მეცი | 21 | 5 | 7 | 9 | 16-25 | 22 |
| ტულუზი | 21 | 4 | 6 | 11 | 20-29 | 18 |
| სტრასბური | 21 | 4 | 5 | 12 | 16-40 | 17 |

## საბერძნეთი
### XI ტური

| | |
|---|---|
| ირაკლისი – ქსანთი | 1-0 |
| ოლიმპიაკოსი – იანინა | 3-1 |
| პანიონიოსი – კალამატა | 1-1 |
| ათინაიკოსი – პაოკი | 3-4 |
| არისი – პანაჰაიკი | 0-0 |
| იონიკოსი – პანილიაკოსი | 3-1 |
| ეთნიკოსი – პანათინაიკ. | 0-3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 11 | 9 | 2 | 0 | 37-10 | 29 |
| პანათინაიკ. | 11 | 7 | 4 | 0 | 18-5 | 25 |
| იონიკოსი | 11 | 6 | 3 | 2 | 18-11 | 21 |
| ირაკლისი | 11 | 6 | 2 | 3 | 15-10 | 20 |
| აეკი | 10 | 6 | 1 | 3 | 20-15 | 19 |
| პაოკი | 11 | 5 | 4 | 2 | 23-19 | 19 |
| ეთნიკოსი | 11 | 5 | 2 | 4 | 15-20 | 17 |
| არისი | 11 | 4 | 3 | 4 | 13-11 | 15 |
| ქსანთი | 11 | 4 | 3 | 4 | 8-12 | 15 |
| პანიონიოსი | 11 | 2 | 6 | 3 | 11-14 | 12 |
| პანაჰაიკი | 11 | 2 | 4 | 5 | 13-19 | 10 |
| იანინა | 11 | 2 | 3 | 6 | 17-23 | 9 |
| კალამატა | 11 | 1 | 4 | 6 | 17-25 | 7 |
| ათინაიკოსი | 11 | 2 | 1 | 8 | 14-25 | 7 |
| პანილიაკოსი | 11 | 1 | 4 | 6 | 6-17 | 7 |
| ოფი | 10 | 1 | 2 | 7 | 9-18 | 5 |


მანჩესტრი – ლივერპული 0-1

## პორტუგალია
### I ლიგა. XV ტური

| | |
|---|---|
| კამპომაიორ. – გიმარაეში | 0-1 |
| ბელენენსეში – ალვერკა | 1-0 |
| ლეირია – პორტუ | 3-1 |
| ამადორა – ავეში | 0-0 |
| მარიტიმუ – ფარენსე | 1-1 |
| ბენფიკა – ჟილ ვისენტე | 0-0 |
| ბრაგა – ბეირა მარი | 3-3 |
| ბოავიშტა – სალგეირუში | 5-0 |
| ფერეირა – სპორტინგი | 0-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 15 | 11 | 1 | 3 | 34-12 | 34 |
| ბოავიშტა | 15 | 9 | 5 | 1 | 34-11 | 32 |
| სპორტინგი | 15 | 9 | 3 | 3 | 25-14 | 30 |
| ბრაგა | 15 | 8 | 4 | 3 | 26-20 | 28 |
| ბელენენსეში | 15 | 8 | 4 | 3 | 18-12 | 28 |
| ბენფიკა | 15 | 7 | 4 | 4 | 22-14 | 25 |
| სალგეირუში | 15 | 8 | 0 | 7 | 18-24 | 24 |
| ფერეირა | 15 | 6 | 5 | 4 | 21-13 | 23 |
| მარიტიმუ | 15 | 6 | 4 | 5 | 17-13 | 22 |
| ლეირია | 15 | 5 | 6 | 4 | 17-22 | 21 |
| ფარენსე | 15 | 5 | 5 | 5 | 20-20 | 20 |
| ბეირა მარი | 15 | 4 | 4 | 7 | 16-24 | 16 |
| გიმარაეში | 15 | 4 | 3 | 8 | 18-25 | 15 |
| ალვერკა | 15 | 4 | 3 | 8 | 17-28 | 15 |
| კამპომაიორ. | 15 | 2 | 7 | 6 | 13-24 | 13 |
| ავეში | 15 | 2 | 4 | 9 | 15-26 | 10 |
| ამადორა | 15 | 2 | 2 | 11 | 11-26 | 8 |
| ჟილ ვისენტე | 15 | 1 | 4 | 10 | 8-22 | 7 |

## ჰოლანდია
### I დივიზიონი

| | |
|---|---|
| ბრედა – ვიტესი | 1-1 |
| ტილბურგი – სიტარდი | 3-1 |
| ვალვაიკი – სპარტა | 2-0 |
| როზენდალი – ჰერენვენი | 0-3 |
| ნაიმეგენი – როდა | 0-2 |
| გრონინგენი – ფეიენოორდი | 1-0 |
| გრააფსხაპი – უტრეხტი | 0-3 |
| ალკმარი – პსვ | 0-5 |
| აიაქსი – ტვენტე | 5-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 16 | 13 | 1 | 2 | 39-16 | 40 |
| პსვ | 16 | 11 | 4 | 1 | 31-11 | 37 |
| ვიტესი | 17 | 11 | 4 | 2 | 36-23 | 37 |
| აიაქსი | 18 | 10 | 3 | 5 | 45-24 | 33 |
| როდა | 18 | 9 | 3 | 6 | 35-25 | 30 |
| ნაიმეგენი | 17 | 6 | 9 | 2 | 24-17 | 27 |
| ვალვაიკი | 17 | 7 | 6 | 4 | 17-14 | 27 |
| უტრეხტი | 17 | 7 | 3 | 7 | 32-29 | 24 |
| ტილბურგი | 17 | 6 | 6 | 5 | 25-22 | 24 |
| ბრედა | 17 | 7 | 3 | 7 | 24-28 | 24 |
| ალკმაარი | 18 | 6 | 5 | 7 | 28-32 | 23 |
| ტვენტე | 17 | 5 | 5 | 7 | 26-31 | 20 |
| გრონინგენი | 17 | 5 | 4 | 8 | 23-28 | 19 |
| ჰერენვენი | 17 | 4 | 7 | 6 | 19-26 | 19 |
| გრააფსხაპი | 18 | 4 | 1 | 13 | 24-38 | 13 |
| სპარტა | 18 | 3 | 4 | 11 | 23-37 | 13 |
| როზენდალი | 16 | 3 | 0 | 13 | 21-43 | 9 |
| სიტარდი | 17 | 1 | 4 | 12 | 12-41 | 7 |



ნაპოლი – რეჯინა 6-2

## ბელგია
### XVII ტური

| | |
|---|---|
| შარლერუა – ვესტერლო | 2-2 |
| ბევერენი – ჰარელბეკე | 2-1 |
| ანტვერპენი – სტ. ტრუიდენი | 2-0 |
| ანდერლეხტი – აალსტი | 3-0 |
| ლიერსი – მეხელენი | 1-1 |
| გენტი – ბეერსხოტი | 3-1 |
| მუსკრონი – ლუვიე | 0-0 |
| ლოკერენი – სტანდარდი | 2-1 |
| გენკი – ბრიუგე | 0-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 17 | 16 | 0 | 1 | 55-10 | 48 |
| ანდერლეხტი | 17 | 14 | 3 | 0 | 50-13 | 45 |
| სტანდარდი | 17 | 9 | 4 | 4 | 42-23 | 31 |
| გენტი | 17 | 9 | 4 | 4 | 34-26 | 31 |
| მუსკრონი | 17 | 9 | 3 | 5 | 37-21 | 30 |
| შარლერუა | 17 | 9 | 2 | 6 | 30-32 | 29 |
| ვესტერლო | 17 | 8 | 4 | 5 | 30-26 | 28 |
| ლიერსი | 17 | 7 | 4 | 6 | 27-24 | 25 |
| ლოკერენი | 17 | 6 | 6 | 5 | 24-25 | 24 |
| ბევერენი | 17 | 6 | 5 | 6 | 16-29 | 23 |
| ბეერსხოტი | 17 | 7 | 1 | 9 | 28-28 | 22 |
| ანტვერპენი | 17 | 7 | 1 | 9 | 22-24 | 22 |
| გენკი | 17 | 4 | 6 | 7 | 18-22 | 18 |
| სტ. ტრუიდ. | 17 | 3 | 4 | 10 | 17-31 | 13 |
| აალსტი | 17 | 3 | 4 | 10 | 17-41 | 13 |
| მეხელენი | 17 | 2 | 4 | 11 | 21-38 | 10 |
| ლუვიე | 17 | 1 | 6 | 10 | 12-31 | 9 |
| ჰარელბეკე | 17 | 2 | 1 | 14 | 21-57 | 7 |

## ჯოჯოხეთი ჰოლანდიაში

ამ დღეებში ვერსად ამოიკითხავთ ჰოლანდიის მეორე დივიზიონის „დენ ბოშისა“ და „ვენლოს“ მატჩის შედეგს — ქალაქის მერმა ამ შეხვედრის ჩატარება აკრძალა. მიზეზი გახდა ის ჯოჯოხეთი, რაც დატრიალდა დენ ბოშში შეხვედრის წინა ღამეს. მომხდარი არეულობის გამო ადგილობრივი გუნდის ერთი გულშემატკივარი მოკლულია, ათეულობით ადამიანმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, ბევრია დაპატიმრებული.

ქალაქის ქუჩები ბრძოლის ველს დაემსგავსა. ფანატებმა ცეცხლი წაუკიდეს ბანკს, სკოლას, კაფეს, ააფეთქეს რამდენიმე ავტომანქანა, დალეწეს მაღაზიების ვიტრინები. შეშინებული მოსახლეობა ბინებში ჩაიკეტა და შორიდან ადევნებდა თვალს, როგორ ცდილობდნენ პოლიციელები წესრიგის დამყარებას. დაჭრილია სამი პოლიციელი, მძიმე დამწვრობა მიიღო ორმა მეხანძრემ, რომლებიც ცდილობდნენ ხულიგნების მიერ გაჩაღებული ცეცხლის ჩაქრობას. ჰოლანდიის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, პოლიციამ მიყენებული ზარალი 180 ათასი ევროთი შეაფასა.

დებოშის მოყვარულთა ასალაგმავად მთელი ქვეყნიდან თავი მოუყარეს 400 სპეცნაზელს. შედეგად პოლიციელის ხელიდან მოკლული იქნა 31 წლის მამაკაცი, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, წესრიგის დამცველის მიმართ სანქციებს არ გამოიყენებენ — იგი თავის მოვალეობას ასრულებდა.



შტუტგარტი – ფრაიბურგი 0-0


რაიო ვალეკანო – ბარსელონა 2-2

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### დაუმი სულაც არ ჩქარობს



კრისტოფ დაუმი

ლევერკუზენის „ბაიერის" შერისხულმა ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა დიდი ხნის დუმილის შემდეგ (იგი ამჟამადაც ამერიკაშია) პასუხი გასცა მის სახელზე მოსულ მიწვევებს: „მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა ხესუს ხილმა კონკრეტული წინადადებებით მომმართა, ესპანეთის მეორე დივიზიონში მოასპარეზე კლუბი ჩავიბარო, მაგრამ უარი ვუთხარი, ვინაიდან ზაფხულამდე არ ვაპირებ მწვრთნელობას დავუბრუნდე".

● ***ჰერ კრისტოფ, თქვენ ირანის ნაკრების გაძღოლაც შემოგთავაზეს.***

— ჩემთვის დიდი პატივია ირანის ეროვნულ ნაკრებში მუშაობა. ამ საკითხში საბოლოოდ ვერ ჩამოვყალიბდი. ირანელებმა ფიქრისათვის ოთხი თვე მომცეს.

● ***ისიც შევიტყვეთ, შვეიცარიის ნაკრებიდანაც მიიღო მოწვევათ.***

— ეს გამორიცხულია. მე იქაურ საფეხბურთო ასოციაციას ვაცნობე, რომ ადგილზევე გყავთ მაღალი კლასის სპეციალისტები და ჩემი ჩამოსვლა მიზანშეწონილი არ არის.

● ***რამდენად შეეფერება სიმართლეს ცნობები იმის თაობაზე, რომ რამდენიმე თურქულმა კლუბმა გამოთქვა სურვილი თქვენთან ითანამშრომლოს?***

— თურქეთში მართლაც იციან ფეხბურთის ყადრი. იქ გატარებული წლები ლამაზად მახსენდება. სიამოვნებით დავბრუნდებოდი ამ ქვეყანაში, მაგრამ ახლა არ შემიძლია.

● ***ამას წინათ გერმანულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია თქვენი „შტუტგარტში" გადასვლის შესახებ.***

— დარწმუნებული ვარ „შტუტგარტის" ახლანდელი თავკაცი რანგნიკი ნამდვილი პროფესიონალია და მას ძალუძს კლუბის კრიზისიდან გამოყვანა. ამიტომ ჩემს ადგილს „შტუტგარტში" ვერ ვხედავ.

● ***მაშ რა გეგმები გაქვთ?***

— ამას წინათ ძალზე მაცდუნებელი წინადადება მივიღე ამერიკელებისაგან — ფლორიდაში შევქმნა უდიდესი საფეხბურთო ცენტრი, სადაც ბავშვებისა და ჭაბუკების გარდა მწვრთნელთა მოსამზადებელი კურსებიც იქნება. იმუშავებს სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ამერიკის რჩეული ორთოპედი პროფესორი პოლომბო. ვფიქრობ, ამ პროექტის განხორციელებას 3-4 წელი მაინც დასჭირდება.

● ***ესე იგი, მწვრთნელობას აღარ აპირებთ?***

— ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ და ამერიკაში რომ საქმეებს ავაწყობ, მწვრთნელობაზეც მერე ვიფიქრებ. თუმცა, მანამდე რაღაც-რაღაცეები მაქვს გასარკვევი გერმანიაში. აპრილში ვაპირებ იქ დაბრუნებას, ჩემს წინაშე დამნაშავე ყველა პირს პასუხი უნდა ვაგებინო. დაე, სასამართლომ გადაწყვიტოს ვიყავი თუ არა ნარკომანი.

## ისინი, ალბათ, ახალ წელს ციხეში გაატარებენ



იებოა

გერმანიაში მოთამაშე განელი თავდამსხმელის, 34 წლის **ტონი იებოას** თავზე დიდი სკანდალია და მან იმის ნაცვლად, რომ „ჰამბურგში" გააგრძელოს კარიერა, შეიძლება წელიწადნახევარი ციხეში გაატაროს.

თურმე, 1990-95 წლებში „აინტრახტში" რომ გამოდიოდა (მაშინ ამ კლუბში კახი ცხადაძეც ირჯებოდა), შემოსავლებიდან 2,3 მილიონი გერმანული მარკა სახელმწიფოს დაუმალა.

სასამართლო პროცესი 22 დეკემბერს ჩატარდება. იებოას გარდა საქმეში გადიან მისი „მრჩევლები" – კლუბის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ბერნდ ჰოლცენბაინი, ხაზინადარი ვოლფგანგ კნიშპელი და იებოას ფინანსური კონსულტანტი იოჰან ვან ბერკი: მათ ორწლიანი პატიმრობა და დიდი ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევთ.

თავად იებოამ რაო? ცხადია, ამბობს – უცოდველი ვარ, გერმანულ საგადასახადო კოდექსისა არაფერი გამეგება და რასაც „მრჩევლები" მეუბნებოდნენ, იმას ვაკეთებდიო.

## მიუნხენი თამაშგარე მდგომარეობაში რჩება?

წარმტაცი და გრანდიოზული ნაგებობაა მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონი". თავად ვარ ნამყოფი იქ და ვიცი, რას ნიშნავს ეს სპორტული სარბიელი გერმანელებისთვის. მათ ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ქვეყანაში ჩატარებულმა რომელიმე მნიშვნელოვანმა ასპარეზობამ გვერდი აუაროს მიუნხენს, რომელსაც საფეხბურთო დედაქალაქსაც უწოდებენ. 1974 წლის მონდიალზე გერმანიის ნაკრები სწორედ აქ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, 14 წლის შემდეგ კი მიუნხენმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩს უმასპინძლა. ახლა იმასაც არ იკითხავთ, ევროპის საკლუბო ტურნირების რამდენი მნიშვნელოვანი შეხვედრა ჩატარებულა ამ სარბიელზე?!

როდესაც გერმანიამ დიდი ბრძოლის შემდეგ 2000 წლის მონდიალის მასპინძლობის უფლება მოიპოვა, თითქოს, პრობლემა არ იყო — მიუნხენისა და ბერლინის სტადიონებს კონკურენტი არ ჰყავდათ: პირველს ჩემპიონატის გახსნა ერგებოდა, მეორეს — ფინალური მატჩის ჩატარება. ახლა კი ყველაფერი აირია...

პარასკევს მონდიალი-2000-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ფრანც ბეკენბაუერმა საგანგებო პრეს-კონფერენცია ჩაატარა, სადაც განაცხადა: „სანამ მიუნხენს საკადრისი სტადიონი არ ექნება, მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები ამ ქალაქში არ ჩატარდება!" საქმე ისაა, რომ ამ სარბიელზე დაგეგმილი იყო დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, რომლის ღირებულება ლამის საქართველოს ნახევარი წლის ბიუჯეტს უდრიდა — 400 მილიონი მარკა. ბოლო დღეებში გაირკვა, რომ ქალაქის მერიას ამხელა თანხის გაღების შესაძლებლობა არ გააჩნია. მერიამ ორგკომიტეტს სტადიონის რეკონსტრუქციის ახალი გეგმა შესთავაზა, რომელიც



კოსმეტიკური სამუშაოების ჩატარებას ითვალისწინებს და, ცხადია, ნაკლები თანხაც ჯდება — 140 მილიონი მარკა. „ახალი გეგმა, — ამბობს კაიზერი ფრანცი, — არ ითვალისწინებს მინდვრისა და ტრიბუნების გათბობას, სხვა აუცილებელ სამუშაოებს. ამიტომ მონდიალის ორგკომიტეტი ასეთ სტადიონს არ მიიღებს... არ გინდათ, ნუ გინდათ, გერმანიაში 15 ქალაქი მაინც მოიძებნება ისეთი, ახალი სტადიონის აშენებაზეც რომ არ იტყვის უარს, ოღონდ მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლოს".

როგორც ცნობილია, ფრანც ბეკენბაუერი იმავდროულად მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტიცაა, ჰოდა, რა გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბისთვის ახალი სტადიონის აშენება? აკი, ამას წინათ, „ბაიერნის" წარმომადგენლებმა განაცხადეს კიდეც, მალე აქციებს გამოვუშვებთ და საფონდო ბირჟაზე გავიტანთ, რათა შემოსავალი გავზარდოთ და საკუთარი სტადიონი ავაშენოთო („ოლიმპიაშტადიონზე" „ბაიერნთან" ერთად „მიუნხენ-1860"-იც თამაშობს).

მოკლედ, ვნახოთ, რა გამოსავალს ნახავენ ქალაქის მამები და მონდიალის ორგკომიტეტი, რომელმაც გაისად გაზაფხულზე უნდა დაასახელოს იმ სტადიონების ვინაობა, სადაც გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები.

**ჯემალ ჭიკაშვილი**

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით. XX ასწლეულის საუკეთესო ფეხბურთელები

## მშვიდი და გაწონასწორებული მილანელი

### მეაცათი დაიწყო

სანდრო მაცოლა ყველაზე ცნობილი საფეხბურთო დინასტიის წარმომადგენელია. მამამისი ვალენტინო მაცოლა იყო კაპიტანი სახელგანთქმული დიდი გუნდის „ტორინოს", რომელიც იტალიის ნაკრების საფუძველს წარმოადგენდა, მთლიანი შემადგენლობით ავიაკატასტროფაში დაიღუპა 1949 წლის 4 მაისს. მაშინ სანდრო 6 წლისა იყო, უმცროსი ძმა ფერუჩი უფრო ნაკლების.

მაგრამ ეს არ იყო პირველი კატაკლიზმი, რომელიც მას წილად ხვდა. მალე, სანდროს დაბადების შემდეგ, მშობლები დასცილდნენ ერთმანეთს და იგი ცხოვრობდა მამასთან, რომელსაც ბიჭი ვარჯიშზე თან დაჰყავდა, ამიტომ, შეიძლება ითქვას, სანდრო აკვნიდან ეზიარა ფეხბურთს. მამის დაღუპვის შემდეგ დედასთან დაბრუნდა, მაგრამ, ცოტა ხნით.

ობლების შეფობა ითავა იმხანად განთქმულმა ფორვარდმა ბენიტო ლორენციმ, მეტსახელად „ველენომ" (შხამიანი), რომელიც ნაკრებში ვალენტინო მაცოლას მხარდამხარ გამოდიოდა და მისი მეგობარი იყო. ლორენცო „ინტერში" თამაშობდა, ამიტომაც სანდრო და ფერუჩი კლუბის ბავშვთა სკოლაში ჩარიცხა, რომელსაც თავად ჯუზეპე მეაცა ხელმძღვანელობდა. ისე რომ, პირველ მასწავლებელთან დაკავშირებით საოცრად გაუმართლა, ბურთის ამ სწორუპოვარ ოსტატის დარიგებებზე ვინ არ ოცნებობდა.

ძმები „ინტერის" ბაზაზე ცხოვრობდნენ. საგულისხმოა, რომ ფერუჩი უფრო ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ დიდი მოთამაშე ვერ გახდა, ეტყობა, გულმოდგინება აკლდა.

„ინტერის" მთავარ მწვრთნელს, ელინიო ერერას მაცოლა ამხანაგურ მატჩებში შეჰყავდა სისწრაფედაკარგულ არგენტინელ მასკიოს ნაცვლად, ოფიციალურ მატჩში, ძირითად შემადგენლობაში კი პირველად 60/61 წ.წ. სეზონის ბოლო თამაშში გაამწესა, თუმცა სიტყვა „ძირითადში", ცოტა არ იყოს, ხმამაღლაა ნათქვამი.

საქმე ისაა, რომ აქ ლაპარაკია სკანდალური გათამაშების მატჩზე „იუვენტუსსა" და „ინტერს" შორის ნეიტრალურ მინდორზე პალერმოში, როცა გათამაშების შესახებ ფედერაციის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო „ინტერის" ხელმძღვანელობამ პროტესტი იმით გამოხატა, რომ თამაშზე... გამოუცდელი, პირტიტველა ჭაბუკები გააგზავნა. იუნიორთა შორის, რომელთაც ხვდათ პატივი იუვენტუსელ ასებთან მიეღოთ საბრძოლო ნათლობა, მოხვდა სანდრო მაცოლაც. 1-9 ასეთი შედეგით აღინიშნა სერია „A"-ს მისი პირველი მატჩი. რას მიაღწია ამით „ინტერმა" ცნობილი არ არის. მაცოლა კი ამაყობდა იმით, რომ ეს ერთადერთი გოლი მას ეკუთვნოდა, რომელიც თერთმეტმეტრიანით გაიტანა.

### იაშინთან ნაგებული დუელი

მომდევნო სეზონში, 61/62, სანდრო ერთხელ გავიდა მინდორზე. მის თამაშში მწვრთნელი ერერა დარწმუნებული არ იყო და უნდოდა იჯარით მიესაღებინა „კომოსათვის", მაგრამ გადაიფიქრა. გამოსავალი გამონახა პოზიციის შეცვლაში: მაცოლამ ცენტრფორვარდობიდან დაცვაში დაიხია და იქცა დაწეულ თავდამსხმელად. ასე უფრო იყენებდა თავის კოზირებს — სისწრაფესა და დრიბლინგს.

მარტო 1962 წლის 18 ნოემბერს ერგო მაცოლას „სამპდორიასთან" შეხვედრაში ადგილი „ინტერში". იმჯერად უკვე სერიოზულად და დიდი ხნით პირველი ნამდვილი სეზონი ათი გოლით და ოქროს მედლით დაამთავრა. 1963 წელს მოგებული სკუდეტოთი დაიწყო „დიდი „ინტერის" ერა.

ამას მალე ნაკრებში მიწვევა მოჰყვა. 1963 წლის 1 მაისს უმცროსმა მაცოლამ პირველად მოირგო ცისფერი მაისური. იტალიელების მეტოქე, ვიღაცა კი არა, ბრაზილიელები იყვნენ



*ევროპის 1968 წლის ჩემპიონი იტალიის ნაკრები. მარცხნიდან: დგანან – ალბერტოზი, ფაკეტი, როსატო, დომენგინი, ბონინსენია, რივა; სხედან – ბერტინი, სერა, მაცოლა, დე სისტი, ბურგნიჩი (ფოტო „ლელოს" არქივიდან).*

პელეს თავკაცობით. მაგრამ ეს დებიუტი განსხვავდებოდა წინანდელისაგან. ჯოვანი ტრაპატონიმ „შესანსლა" ფეხბურთის მეფე.

„სკუადრა აძურამ" კი იგივე დამართა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს — 3-0. ამას იტალიისათვის და პირადად მაცოლასათვის თავმოსაწონი ორთაბრძოლები არ მოჰყოლია ევროპის თასზე სსრ კავშირის ნაკრებთან შეხვედრებში. მთლად გასაგები არ იყო, რატომ მაინცდამაინც მას, 20 წლის ჭაბუკს მიანდვეს საპასუხისმგებლო მისია იაშინის კარში დაერტყა თერთმეტრიანი. იგი რომ ვერ შეაგდებდა, დასარტყმელად მომზადებაშივე ცხადი იყო. სანდრო შედრკა და „ჩაქრა" „შავი ობობის" გაშლილი მკლავები რომ დაინახა. იაშინი დააცხრა ბურთს, მაცოლამ კი თავში იცა ხელები. თუმცა იტალია ისედაც დამარცხდებოდა.

### მაცოლას საფირმო გოლები

„დიდი „ინტერის" მთავარი დისპეტჩერი ლუის სუარესი იყო. მაგრამ მაცოლაც ასრულებდა შეტევის ორგანიზაციის ფუნქციებს. ყველაზე სამახ-



სანდრო მაცოლა

სოვრო გოლები მეტოქის დაცვასთან სწრაფი „შეწყვილების" შედეგად გაჰქონდა. ასეთი რეიდით, რასაც კარის შორეულ კუთხეში ფილიგრანული დარტყმით მეტად საჭირო გოლი მოჰყვა, მადრიდის „რეალთან" იყო 1964 წლის ჩემპიონთა თასზე. „ინტერმა" მაშინ პირველი საერთაშორისო ნადავლი იგდო ხელთ.

უფრო ეფექტური გამოდგა გოლი „ვაშაშის" კარში, ბუდაპეშტში 1966 წლის 8 დეკემბერს. მაცოლამ ბურთიანად აუარა გვერდი ხუთ მცველს და მეკარეს, შეყოვნდა, ერთი-ორი ოპონენტი კარშიც ჩადგა და გზა გადაუღობა თითქოს ბურთს, მაგრამ სანდრომ მონახა „ხვრელი" და ზუსტად იქ გააძვრინა ბურთი.

მთელი ბრწყინვალებით წარსდგა მაცოლა 1963 წლის 24 თებერვალს „მილანთან" მატჩში. ეს იყო პირველი მილანური დერბი მისი მონაწილეობით. სანდრომ სოლო ნომერი ჩაატარა. ჩამოიტოვა ჩეზარე მალდინი, ტრები და მარჯვენათი დაარტყა, როცა ტრაპატონი მეკარე მეცის დასახმარებლად გაეშურა კარისკენ. ბურთი ბადეში შეფართხალდა და ამ გოლის წყალობით „ინტერმა" ფრედ 1-1 დაასრულა თამაში. ეს ისე დამამცირებლად გამოიყურებოდა, რომ 33 წლის გეცი განაწყენდა კიდეც შედევრის შემოქმედზე: როგორ, 20 წლის ლაპმა „მშრალზე" დატოვა და გააბითურა იგი.

69/70 წ.წ. სეზონში მაცოლამ შუა ხაზზე გადაინაცვლა, ვინაიდან „ინტერში" გაჩნდა ნიჭიერი და შედეგიანი მოთამაშე ბონინსენია. ამ დროს ნაკრებში კომფლიქტი მძვინვარებდა, იმის გამო, რომ მაცოლას და რივერას პრეტენზიები ჰქონდათ ერთ ადგილზე. მწვრთნელი ვალკარეჯი მშვიდ და გაწონასწორებულ მაცოლას არჩევდა ჭირვეულ რივერას, მას კი სწყინდა და დემარშებს აწყობდა.

მაცოლამ სამ მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშა, რომელთაგან ერთი წარმატებითი გამოდგა (მეორე ადგილი), ორში კი, გუნდი ჩაფლავდა. 1974 წელს „სკუადრა აძურამ" შეცდომით ვეტერანებს რივასა და რივერაზე გააკეთა არჩევანი, რომლებიც უმწეოდ გამოიყურებოდნენ. მაცოლა ერთადერთი „მოხუცთაგანი" იყო, სათანადო დონეს რომ ინარჩუნებდა. და მაინც მსოფლიო-74-ის შემდეგ დატოვა ნაკრები. სამი წლის შემდეგ კი საერთოდ წავიდა ფეხბურთიდან.

კარიერის დამთავრების შემდეგ „ჯენოას" პრეზიდენტად (საკმაოდ წარუმატებლად) იმუშავა, შემდეგ ტელეკომენტატორად, რამდენიმე წლის უკან კი „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ კლუბის საადმინისტრაციო თანამდებობაზე მიიწვია.

**დოსიე.** ***სანდრო მაცოლა: იტალია. თავდამსხმელი და ნახევარმცველი. დაიბადა 1942 წლის 8 ნოემბერს. სერია „ფ"-ში ჩაატარა 417 თამაში და გაიტანა 105 გოლი.***

***იტალიის ნაკრებში — 70 თამაში, 22 გოლი.***

***ნაკრებში პირველი მატჩი — 1963 წლის 12 მაისს მილანში ბრაზილიასთან (3-0).***

***ნაკრებში უკანასკნელი მატჩი: 1974 წლის 23 ივნისს, პოლონეთთან შტუტგარტში (1-2).***

***მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი 1970, ევროპის ჩემპიონი — 1968.***

# სპორტული პლანეტა

## ნბა: რა ეშველებოდა „ლეიკერსს“ ბრაიანტისა და ო'ნილის გარეშე?




გუშინ ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის 6 მატჩი გაიმართა. მოქმედი ჩემპიონი — „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“, რომელიც ბოლო დროს არასტაბილურად თამაშობს, ტორონტოს ეწვია და დაძაბულ ბრძოლაში სძლია ადგილობრივ გუნდს — 104:101. „ლეიკერსში“ კვლავ გაიბრწყინეს კობი ბრაიანტმა და შაკილ ო,ნილმა, რომლებმაც გუნდის მიერ დაგროვილი ქულების ნახევარზე მეტი მიითვალეს. „ტორონტოს“ ვერც ვინს კარტერის სამაგალითო გარჯამ უშველა. „ნიუ-იორკ ნიკსმა“ ამ ჩემპიონატში მეთხუთმეტედ გაიმარჯვა, ამჯერად ჯეფ ვან განდის შეგირდებმა შინ ოვერტაიმში სძლიეს „მილუოკი ბაკსს“ — 100:97. მასპინძელთა რიგებში გაიბრწყინა ვეტერანმა გლენ რაისმა.

მშვენივრად დაიწყო ახალი სეზონი „ორლანდოს“ 21 წლის ფორვარდმა ტრეისი მაკგრეიდიმ, რომელიც უკვე გუნდის ლიდერად მოგვევლინა. გუშინ ღამით გასვლით მატჩში „ვანკუვერის“ წინააღმდეგ მაკგრეიდიმ 27 ქულა დააგროვა, ამასთან, რვაჯერ საკუთარი ფარიდან ასხლეტილი ბურთიც მოხსნა. მისმა კლუბმა მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია — 101:91.

დასავლეთის კონფერენციის გუნდებმა — „დალასმა“ და „დეტროიტმა“ ურთიერთობა გაარკვიეს ერთმანეთში. სტუმრებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 99:90. გამარჯვებულთა შორის დიდად სასარგებლოდ „გაისარჯა“ დირკ ნოვიცკი, რომელიც ნბა-ში მესამე სეზონს ატარებს. მან მოედანზე 38 წუთი დაჰყო და გუნდს 25 ქულა მოუტანა.

### ტექნიკური შედეგები

***ტორონტო — ლოს-ანჯელეს ლეიკერსი — 101:104 (ოვერტაიმში)***

კარტერი — 31, დევისი — 14, უილისი — 13, ოაკლი — 12,; ბრაიანტი — 40, ო,ნილი — 28, ფოქსი — 10.

***ნიუ-იორკი — მილუოკი — 100:97 (ოვერტაიმში)***

რაისი — 32, ჰიუსტონი — 29, კემბი — 11, სპრიუელი — 10; რობინსონი — 23, ალენი — 18, ტომასი — 17, ჰანტერი — 14, კასელი — 13.

***ვანკუვერი — ორლანდო — 91:101***

ბიბი — 19, ჰარინგტონი — 15, აბდურ-რახიმი — 12, ოსტინი, დიკერსონი — 11-11; მაკგრეიდი — 27, ამაეჩი — 18, დოლიჩი — 16, არმსტრონგი — 15.

***დეტროიტი — დალასი — 90:99***

სტეკჰაუსი — 24, სმოტი — 20, ეტკინსი — 19; ნოვიცკი — 25, ლაეტნერი — 16, ნეში — 15, ფინლი — 13, ეისლი — 11.

***ნიუ-ჯერსი — საკრამენტო — 79:95***

მერბიური — 17, უილიამსი — 13, ჯილი — 10; უებერი — 33, კრისტი — 18, დივაცი — 12.

***ლოს-ანჯელეს კლიპერსი — ვაშინგტონი — 94:103***

ოდომი — 20, მაილსი — 14, პიატკოვსკი, დულინგი — 10-10; ჰოვარდი — 31, ჰამილტონი — 30, სტრიკლენდი — 12.

## სტეფანია ნბა-ს დაუბრუნდა

საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი **ვლადიმერ სტეფანია** კვლავ ითამაშებს ნაციონალურ საკალათბურთო ლიგაში. „სიეტლ სუპერსონიკსში“ გატარებული ერთი სეზონის შემდეგ ჩვენებური, როგორც ვიტყობინებოდით, „ტორონტოში“ გადავიდა, მაგრამ ვერც იქ მოიკიდა ფეხი და ბოლოს თავის ყოფილ კლუბს — სლოვენიის „ოლიმპიას“ დაუბრუნდა. და აი, უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, სტეფანიას ნბა-ს კლუბ „ნიუ ჯერსის“ აგენტები დაუკავშირდნენ — ჩვენთან ჩამოდიო. მოლაპარაკება ხანმოკლე გამოდგა, მხარეები ყველაფერზე შეთანხმდნენ და ამერიკელებმა სტეფანიას 50-ნომრიანი მაისური უბოძეს.

„ნიუ-ჯერსი“ ატლანტიკის დივიზიონში თამაშობს, შედეგებით მაინცდამაინც არ ბრწყინავს. გუნდის მთავარი მწვრთნელი ბაირონ სკოტი იმედს გამოთქვამს, რომ ქართველი კალათბურთელი მხარში ამოუდგება ახალ თანაგუნდელებს — სტივენ მარბერის, შერმან დუგლასს, კენდალ გილს და კრიზისიდან გამოიყვანს კოლექტივს.

## ოლიმპიზმი

### „თუ ოლიმპიადა სარაევოს უბოძეს, ქალაქი მკვდრეთით აღსდგება“

დიახ, ასეთი განცხადება გააკეთა ბოსნია-ჰერცოგოვინას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ბოგი ბოგიევიჩმა მას შემდეგ, რაც ომით გატანჯული სახელმწიფოს მეთაურებმა გადაწყვეტილება მიიღეს ოფიციალური წინადადებით მიმართონ სოკ-ს, სარაევოში 2010 წელს ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე.

შეგახსენებთ, სარაევომ ერთხელ უკვე უმასპინძლა ზამთრის ოლიმპიადას. ეს 1984-ში მოხდა, მაშინ ქალაქი ერთიან იუგოსლავიის სახელმწიფოში შედიოდა.

## კრივი

### სამმა ჩემპიონმა ტიტული შეინარჩუნა, ერთი კი საავადმყოფოში აღმოჩნდა

**შაბათს საღამოს მსოფლიოში დიდი კრივი გაჩაღდა — სხვადასხვა ასოციაციის ვერსიით რჩეულის გამოსავლენად ბრძოლები ოთხ ქალაქში გაიმართა.**




ინგლისში, კერძოდ, შეფილდში რინგის მასპინძელმა პოლ ინგლმა IBF-ის ვერსიით უმძიმეს წონაში მსოფლიო ჩემპიონის წოდება დაკარგა სამხრეთაფრიკელ მბულელო ბოტილესთან ჭიდილში. რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა მე-12 რაუნდში აფრიკელი მოკრივის აშკარა უპირატესობის გამო. აფრიკელის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თავად ინგლი კი უმძიმეს მდგომარეობაში საავადმყოფოში გააქანეს.

გერმანიის ქალაქ ესენში WBO-ს ვერსიით ნახევრადმძიმე წონაში მსოფლიოს რჩეულის ტიტული შეინარჩუნა მასპინძელმა მოჩხუბარმა დარიუშ მიხალჩევსკიმ. მან ამერიკელი კა დი კინგი ისე დაალილავა, რეფერი იძულებული გახდა მეშვიდე რაუნდში ბრძოლა შეეწყვიტა. აღსანიშნავია, რომ პროფესიონალურ კარიერაში მიხალჩევსკი აქამდე დაუმარცხებელია, მან უკვე ზედიზედ 43-ედ იზეიმა გამარჯვება.

ასევე გერმანიაში, ქალაქ კარლსრუეში გამარჯვება იზეიმა კიდევ ერთმა მასპინძელმა — მსოფლიო ჩემპიონმა სვენ ოტკემ. მან ქულებით დაამარცხა იტალიელი სილვიო ბრანკო. ბრძოლა IBF-ს ვერსიით სუპერსაშუალო წონაში მიმდინარეობდა.

ამერიკის ქალაქ პიტსბურგში IBF-ს ვერსიით მჩატე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ერთმანეთს აშშ-ს ორი წარმომადგენელი ეცილებოდა. პოლ სპადაფორამ ბილი ირვინთან ჭიდილში ეს წოდება შეინარჩუნა.

## რას კარგავს ბარბარა?

ერთი კვირაა გერმანული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს არ სცილდება ამ ოდესღაც ბედნიერი წყვილის ფოტოსურათები. დიახ, თითქმის ათი წელია ბორის და ბარბარა ბეკერები გერმანიის სიყვარულისა და ოჯახური ბედნიერების სიმბოლოებად არიან ქცეულნი და აი, მოულოდნელად ხმა გავარდა — წყვილი ერთმანეთს შორდებაო. ამის დასტურად თავად ბორისიც გამოჩნდა ტელეეკრანებზე: „დიდი ხანია ერთმანეთს ვეღარ ვუგებთ, ჩვენ ხასიათებით აშკარად ვერ ვეწყობით და ამიტომ განშორება გადავწყვიტეთ, თუმცა, ოფიციალურ გაყრაზე ჯერჯერობით არ ვფიქრობთ...“ რას ნიშნავს სახელგანთქმული ვეტერანი ჩოგბურთელის ეს დიპლომატიური ფრაზები — მთელი გერმანია თავს იმტვრევს ამ კითხვაზე.


ასეთი ბედნიერნი იყვნენ ბეკერები ახლო წარსულში

ბორისმა და ბარბარამ ერთმანეთი 1991-ში გაიცნეს. ეს მიუნხენის ერთ-ერთ რესტორანში მოხდა და მალე ვაჟმა ქალს ხელი სთხოვა. ბარბარა უცებ არ დათანხმებულა. და მაინც ბეკერმა შეძლო ფერადკანიანი ლამაზმანის გულის მონადირება. იმ საღამოს მან ვისკით სავსე ბარბარას ჭიქაში ბრილიანტის ბეჭედი ჩააგდო, მერე კი ორკესტრს ქალის საყვარელი მელოდია — „Summertime“ შეუკვეთა. „თანახმა ვარ“ — თქვა ბარბარამ.

და მაინც, ვინ იყო ბარბარა, სანამ სახელგანთქმულ ჩოგანს გაიცნობდა? ადრე იგი ცოტას მღეროდა, ცოტას კინოში იღებდნენ, ხანდახან მოდელადაც მუშაობდა. ასე რომ, ქალს ხელოვნებისადმი მიდრეკილება ყოველთვის ჰქონდა. შეუღლების შემდეგ ბარბარას ორი ბიჭი ეყოლა — ნოა გაბრიელი, რომელსაც ერთ თვეში 7 წელი შეუსრულდება, გლიას ბალთაზარი კი ორი წლისაა. უნდა ითქვას, ბარბარა კარგი მეუღლე გამოდგა — შვილებსაც სამაგალითოდ უვლიდა, ქმარსაც თავსევლებოდა, შეძლებისდაგვარად, შეჯიბრებებზეც დაჰყვებოდა, სხვადასხვა წვეულებებზეც გვერდს უმშვენებდა.

როცა აქტიურ სპორტს თავი დაანება, ბორისი ბიზნესში ჩაერთო, პარალელურად ფირმა „მერსედესთან“ თანამშრომლობდა და მის სარეკლამო აქციებში მონაწილეობდა. მოკლედ, საქმე ბევრი იყო და ბარბარას ხშირად უწევდა სახლში მარტო ყოფნა. ასეთი სიტუაცია ქალს ხელს არ აძლევდა, თავადაც უნდოდა, რაიმე საქმისთვის ხელი მოეკიდა. ამას წინათ ბარბარამ მილიონიან სარეკლამო კონტრაქტს მოაწერა ხელი „coca-cola“-სთან. ამბობენ, ბორისს მეუღლის ასეთი საქციელი არ მოეწონა — მინდა სახლში იჯდე და შვილებს მოუაროო. და დაიწყო ურთიერთბრალდებები...

ვითომ ეს იყო უთანხმოების ძირითადი მიზეზი? ბოროტი ენები სულ უფრო ხშირად სხვას ამბობენ: ბოლო დროს ბორისს ხშირად ხედავდნენ ცნობილი მომღერალი ქალის, 26 წლის საბრინა სეთლურის გვერდით. ინდოელი ემიგრანტების ქალიშვილი (მამა — ბანკის მმართველი, დედა — მედდა) დღეისათვის ქვეყნის ყველაზე ეროტიკულ ქალად ითვლება. საბრინა დაიარება ბრწყინვალე ავტომობილით — „Porshe Boxter“-ით, მდიდრულადაც იცმევს. ცხადია, საყვარლებსაც არ იცვამს: ჯერ ერთ-ერთ ცნობილ ფოტოგრაფთან დადიოდა, მერე „მიუნხენ-1860“-ის ფეხბურთელთანაც ჰქონდა კავშირი, ერთი პერიოდი ფირმა „Sony“-ის მეპატრონე იოჰან ლოიშნერიც ეტრფოდა. ახლა საბრინას თაყვანისმცემელთა მოზრდილ სიას ბეკერიც დაემატა. მათი რომანი შვარცვალდის იმ სასტუმროში დაიწყო, სადაც ოდესღაც ქორწილის შემდეგ ბორისმა და ბარბარამ ღამე გაათიეს...

ახლა იმასაც არ იკითხავთ, რა მოიმოქმედა ამ ამბების შემდეგ ბარბარამ? მოჰკიდა შვილებს ხელი და გაფრინდა მაიამიში, სადაც ბეკერების უზარმაზარი სახლი დგას. ხომ არ გგონიათ, რომ მათ მეტი საფარველი არა აქვთ. იქ, მალიორკაში წარმტაცი ვილა, იქ, მიუნხენში და მონაკოში ფეშენებლური სახლებიო. და, საერთოდ, ბორის ბეკერის ქონება 200 მილიონ მარკადაა შეფასებული. აქედან, გაყრის შემთხვევაში საქორწინო კონტრაქტით ბარბარას 20 მილიონი ერგება. ასე რომ, ქალი ამ შემთხვევაში ძალიან არ დაზარალდება და ეგებ კვლავ მოდელადაც იმუშაოს. ეს ისე, გართობის მიზნით..

**ჯემალ ჯიკაშვილი**

## გერმანიაში 2000 წლის რჩეულები გამოავლინეს


ჰაიკე დრექსლერი

ტრადიციული გამოკითხვის შედეგად, სიდნეიში ოლიმპიური ოქროს მედალოსნები — სიგრძეზე მხტომელი ჰაიკე დრექსლერი, მორბენალი ნილს შუმანი გახდნენ გერმანიის 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენები. ლაურეატთა დაჯილდოება ბადენ-ბადენში მოხდა.


ნილს შუმანი

## ჭადრაკი

# სიუ ჟუნი კვლავ პირველია




ნიუ-დელიში დამთავრდა ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც 64 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა, ფინალურ მატჩში მსოფლიო ჩემპიონმა სიუ ჟუნმა (ჩინეთი) მოუგო თანამემამულე ცინ კანინს — 2,5:1,5 და შეინარჩუნა წოდება.

შეჯიბრებაში, როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, ქართველი მოჭადრაკეების დიდი ჯგუფი გამოდიოდა და სამწუხაროდ, სერიოზული მარცხი განიცადა, შეჯიბრების ადრეულ სტადიაზე გამოეთიშნენ. რა არის ამის მიზეზი? წამყვანი დიდოსტატები ნიუ-დელიში სტამბოლის ოლიმპიადის შემდეგ ყოველგვარი შესვენების გარეშე თამაშობდნენ და გადაიღალნენ. ორი ასეთი ასპარეზობა ზედიზედ ხომ მეტად მომქანცველია. რაც შეეხება ჩვენს ახალგაზრდა მოჭადრაკეებს, მათ, უბრალოდ, არ ეყოთ გამოცდილება ესოდენ გამობრძმედილ, ყოველმხრივ მომზადებულ დიდოსტატებთან სათამაშოდ. ალბათ, არის მარცხის სხვა მიზეზებიც, რომლებიც დეტალურ შესწავლას მოითხოვს.

როგორც ასეთი ტიპის ასპარეზობისათვის არის დამახასიათებელი, ბევრ მოულოდნელობას წავაწყდით. ძალზე ადრე გამოეთიშნენ ბრძოლას გამოჩენილი დიდოსტატები პია კრამლინგი (შვეცია) და ალისა გალიამოვა (რუსეთი), მზარდი კლასი აჩვენა რამდენიმე ახალგაზრდა მოჭადრაკემ, კვლავ ჩინებულად ითამაშა ევროპის ჩემპიონმა ნატალია ჟუკოვამ (უკრაინა), რომელიც ნახევარფინალამდე მივიდა. რაც შეეხება ჩინელ მოჭადრაკეთა ჯგუფს, მან დაამტკიცა, რომ სავსებით დამსახურებულად უკავია წამყვანი პოზიცია მსოფლიოში, ხოლო სიუ ჟუნმა ყველას დაანახვა, რომ ამჟამად იგი ჭეშმარიტად უძლიერესია.

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

# ანანდი თუ შიროვი?

ნიუ-დელის ეპოპეა დამთარდა. 100 მონაწილიდან სულ ორიღა დარჩა, ამასთან, ვიშვანათან ანანდი და ალექსეი შიროვი უკვე თეირანში ჩავიდნენ და ახლა 6 პარტიისაგან შემდგარი მატჩი უნდა გაითამაშონ. სავსებით ცხადია, ვინც არ უნდა მოიგოს ეს ორთაბრძოლა, იგი მაშინვე განაცხადებს, რომ სწორედ ის არის მსოფლიო ჩემპიონი, და არა ვლადიმირ კრამნიკი, რომელმაც (რა მოხდა!) „რალაცა კერძო მატჩი მოიგო“ გარი კასპაროვთან. იმასაც იტყვიან, რომ შიროვს საერთოდ დადებითი ანგარიში აქვს კრამნიკთან (+9 −7 = 13), ანანდს კი თანაბარი (+4−4 = 26), რა ვუყოთ, რომ იგივე კასპაროვი ერთსაც სასტიკად ამარცხებს და მეორესაც, ანანდთან ექს-ჩემპიონის ანგარიშია +15−5 = 24, შიროვთან +9−0 = 9. ამაზე დამაჯერებლი უპირატესობა რაღა უნდა იყოს!

ანანდმა და შიროვმა ნიუ-დელიში სავსებით დამაჯერებელ წარმატებას მიაღწიეს. სამი პირველი მატჩის შედარებით იოლად მოგების შემდეგ ანანდი მსოფლიო ჩემპიონ ალექსანდრ ხალიფმანს შეხვდა. ამ მოჭადრაკეებს ერთმანეთთან „ძველი ანგარიშები“ აქვთ. 1998 წელს, როცა პირველად გათამაშდა მსოფლიო ჩემპიონატი ნოკაუტ-სისტემით, მთავარ ფავორიტად მიჩნეული ანანდი კინაღამ სწორედ ხალიფმანმა გამოთიშა ასპარეზობიდან, რომელმაც სავსებით მოსაგებ ენდშპილში ხელიდან გაუშვა უზარმაზარი უპირატესობა. შარშან, ხალიფმანი თვით გახდა მსოფლიო ჩემპიონი, როცა ანანდი შეჯიბრებაში უკვე აღარ მონაწილეობდა. წელს ანანდმა ხალიფმანი ჯერ ლინარესში დაამარცხა, შემდეგ კი შენიანშიც (ჩინეთი) მსოფლიო თასზე: ახლა მსოფლიო ჩემპიონატში ძველი მეტოქეების ორი ძირითადი პარტია ყაიმით დასრულდა, შემდეგ „დამატებით დროში“ ერთი შეხვედრა ინდოელმა მოიგო, მეორე კი ყაიმით დასრულდა. ძნელი მატჩი ჰქონდა ანანდს მეტად შეუპოვარ ინგლისელ მაიკლ ადამსთან, რომელსაც ახლა მსოფლიო რეიტინგ-ლისტში მეექვე ადგილი უკავია.

რაც შეეხება შიროვის მატჩებს, აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საკმარისად რთული შეხვედრა ცნობილ დიდოსტატ ბორის გელფანდთან (ისრაელი), ორი ძირითადი პარტია აქაც ყაიმით დასრულდა, მესამე მოიგო შიროვმა, მეოთხე ყაიმით დასრულდა და ამრიგად, შიროვს გზა გაეხსნა!

მაშ ასე, ფინალში სწორედ ის მოჭადრაკეები ითამაშებენ, რომლებსაც მიმომხილველები ელოდნენ კიდეც. ვნახოთ!

# გუსტავო კუერტენი: ამიერიდან სხვანაირად მეთამაშებიან



მას შემდეგ, რაც ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი მსოფლიოს №1 ჩოგბურთელი გახდა, მასთან მოუხშირეს ჟურნალისტებმა.

● ***გჯეროდათ, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდებოდით?***

— არა, იცინის. დღემდე ვერ დამიჯერებია, რომ ასე მოხდა. გულახდილად რომ გითხრათ, ვცდილობდი არც კი მეფიქრა, პირველი გავხდებოდი თუ არა, თუმცა ყველა ამას მეკითხებოდა. ეტყობა, ბევრს არ სჯეროდა ჩემი, მე კი არ ვფიქრობდი იმ სიძნელეებზე, რომლის დაძლევაც მელოდა. როგორ მივაღწიე ამ წარმატებას? ვინმეს ტურნირის დაწყებამდე რომ ეთქვა, ჯერ კაფელნიკოვს დავამარცხებდი, შემდეგ სამპრასს, ბოლოს კი აგასის, არავითარ შემთხვევაში არ დავიჯერებდი, ასე ვუპასუხებდი: „რას ბრძანებთ? ამის შანსი არა მაქვს. განა შემეძლო მეფიქრა, რომ ისეთი ჩოგბურთელების გვერდით დავდგებოდი, როგორიც აგასი და სამპრასია?

● ***როდის დარწმუნდით, რომ გამარჯვება შეგეძლოთ?***

— ვიცოდი, რომ ფინალური მატჩი ანდრე აგასის წინააღმდეგ მეტად მნიშვნელოვანია, უკანასკნელი ამ სეზონში. წაგება ხაზს გადაუსვამდა ჩემს ყველა მიღწევას ამ სეზონში. იმასაც ვგრძნობდი, რომ ამ ტურნირში თითოეულ ახალ მატჩში სულ უკეთ და უკეთ ვთამაშობდი, ფინალში კი ყველაფერი ვაჩვენე, რაც კი შემიძლია. ეს ჩემთვის იდეალური მატჩი იყო! ვფიქრობ, აგასი გავოცე, როცა ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად ვითამაშე, აგრესიულად და ჩემი ძალების სრული რწმენით. როცა სამპრასი დავამარცხე, მივხვდი, რომ აგასის ძლევაც შემიძლია.

● ***როცა ახალი სეზონი დაიწყება, ყველა, ვინც კი თქვენს წინააღმდეგ გამოვა, იტყვის: „ეს კუერტენია, მსოფლიოს პირველი ჩოგანი!“ ეს იმოქმედებს თქვენზე?***

— გულახდილად გეტყვით, ახლა არ მინდა ამაზე ვიფიქრო. მინდა დავტკბე ჩემი ახლანდელი წარმატებით. შვილები რომ მეყოლება, ვეტყვი, რომ ოდესღაც მსოფლიოში პირველი ვიყავი.

● ***როდის დაიწყებთ ახალი სეზონისათვის მზადებას?***

— ცოტაოდენს დავისვენებ და თანდათანობით მოვემზადები ახალი სეზონისათვის. იგი იანვარში ავსტრალიის ღია პირველობით იწყება, სადაც ჩვეულებრივ ნაკლები წარმატებით გამოვდივარ ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ერთხელაც არ გავცდენილვარ მეორე წრეს. ახალი სეზონი კი ახლებურად უნდა დავიწყო.

● ***გულახდილად გვითხარით, პატარაობისას, ოცნებობდით რომ პირველი გახდებოდით?***

— არა, არასოდეს, 12-13 წლისა რომ ვიყავი, არც მაშინ მიფიქრია, რომ „დიდი მუზარადის“ ტურნირებში და „მასტერსის სერიაში“ ვითამაშებდი. ბრაზილიის ერთი პატარა ქალაქიდან ვარ. ჩვენთან არც ქვეყნის ჩემპიონატი თამაშდება, არც ატპ-ს ტურნირები ეწყობა. ბრაზილიაში ევროტურნირშიც კი არ მითამაშია, ისე რომ, ვფიქრობ, წარმოუდგენელი რამ ჩავიდინე!

## ტოტო ლოტო №49 ტირაჟის შედეგები 16-17.12.2000

**ლოტო 6-42:** 9 10 12 13 29 41

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 x | 2439.10 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 5 რიცხვი | 0 x | 1378.20 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 4 რიცხვი | 13 x | 13.10 ლარი | |
| 3 რიცხვი | 154 x | 1.90 ლარი | |

**სუპერ 7:** 7 9 3 3 1 3 4

| | | | |
|---|---|---|---|
| 7933134 | 50,000 ლარი | 134 | 50 ლარი |
| 933134 | 15,000 ლარი | 34 | 3 ლარი |
| 33134 | 5,000 ლარი | 4 | 0.50 ლარი |
| 3134 | 500 ლარი | | |

**ტოტო ფეხბურთი:** 2 1 X 2 2 X 2 X 2 X 1 1

12 მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 9823.60 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 11 შედეგი | 0 x | 248.70 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 0 x | 248.70 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |

50-ე ტირაჟის პროგრამა (23-24. 12. 2000)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ინგ. | დერბი – ნიუკასლი | 20-40-40 |
| 2. | ინგ. | ლესტერი – ვესტ ჰემი | 30-40-30 |
| 3. | ინგ. | ჩარლტონი – ევერტონი | 40-40-20 |
| 4. | ინგ. | ლიდსი – ასტონ ვილა | 50-30-20 |
| 5. | ინგ. | ნაპოლი – პარმა | 30-30-40 |
| 6. | იტ. | რეჯინა – ვიჩენცა | 30-30-40 |
| 7. | იტ. | ბრეშა – ლეჩე | 20-50-30 |
| 8. | იტ. | ატალანტა – ინტერი | 40-30-30 |
| 9. | იტ. | უდინეზე – ბოლონია | 30-40-30 |
| 10. | შოტ. | დანფერმლაინი – კილმარნოკი | 20-20-60 |
| 11. | შოტ. | სენტ ჯონსტონი – მოზერველი | 50-30-20 |
| 12. | შოტ. | რეინჯერსი – ჰიბერნიანი | 50-30-20 |

**ტოტო ფეხბურთი:** 2 X 2 1 X 2 1 1 1 1 2

11 მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 x | 16.20 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 0 x | 16.20 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 9 შედეგი | 5 x | 3.20 ლარი | |

50-ე ტირაჟის პროგრამა (23-24. 12. 2000)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | იტ. | ატალანტა – ინტერი | 40-30-30 |
| 2. | იტ. | ფლორენცია – ვერონა | 50-30-20 |
| 3. | იტ. | მილანი – პერუჯა | 50-30-20 |
| 4. | იტ. | ნაპოლი – პარმა | 30-30-40 |
| 5. | იტ. | უდინეზე – ბოლონია | 30-40-30 |
| 6. | იტ. | ბრეშა – ლეჩე | 20-50-30 |
| 7. | იტ. | რეჯინა – ვიჩენცა | 30-30-40 |
| 8. | ინგ. | ლიდსი – ასტონ ვილა | 30-40-30 |
| 9. | ინგ. | ლესტერი – ვესტ ჰემი | 30-40-30 |
| 10. | ინგ. | მანჩესტერ იუნ. – იფსვიჩი | 50-30-20 |
| 11. | ინგ. | ტოტენჰემჰოტსპური – მიდლსბრო | 60-30-10 |

## სპორტული ლოტო №13 ტირაჟის შედეგები 17.12.2000

| სვლა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამოსული რიცხვი | 15 | 20 | 24 | 16 | 11 | 9 | 8 | 12 | 22 | 14 |
| სვლა | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| ამოსული რიცხვი | 1 | 4 | 10 | 17 | 18 | 23 | 2 | 13 | 5 | 7 |
| მოგების თანხა | | 10,000 ლარი | 1,000 ლარი | 100 ლარი | 50 ლარი | 10 ლარი | 5 ლარი | 2 ლარი | 1 ლარი | 2 ბილეთი |

დარჩენილი რიცხვები: 3 6 19 21

მოგებული ბილეთიდან გამოვლენილი გამარჯვებულები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ტირაჟის ტელე-თამაშში:

ავთანდილ ჩიხიძე (თბილისი) გელა ბითაძე (თბილისი)

ჯუმბერ ბაგალიშვილი (თბილისი)

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**19 დეკემბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (10.35), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс футбол.*** საფრანგეთის (13.15), გერმანიის (16.30, 0.35), ინგლისის (17.30, 21.40), ბრაზილიის (19.55), ესპანეთის (23.00) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა. „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „არსენალი“ (19.30), იტალიის საფეხბურთო მიმოხილვა (22.30), ***EUROSPORT.*** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი სპრინტში (12.30), ფეხბურთი. ევროგოლი (15.00), „ერთი სამყარო — ერთი თასი“ (23.00).

**20 დეკემბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.45, 20.00) ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის (13.15, 23.55), ინგლისის (15.50), ბრაზილიის (17.30, 22.25), იტალიის (23.05) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ტაეკვანდო. საერთაშორისო ტურნირი (11.40), კალათბურთი. ევროლიგის მატჩების მიმოხილვა (12.40), ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი (23.50), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა. „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ — „მაიამი ჰიტი“ (14.30), ბილიარდი (17.30), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 13.15, 15.15, 16.15, 21.00, 22.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა (2.00).

**21 დეკემბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.05), ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის (13.15, 21.05, 23.30), იტალიის (15.00, 1.20), ბრაზილიის (15.50), ინგლისის (16.20), საფრანგეთის (19.20) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. მსოფლიო სპორტი (22.45). კალათბურთი. ევროლიგა (15.40, 22.15), ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები (19.55). ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგის მიმოხილვა (22.30). ***EUROSPORT.*** სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი (12.30, 13.15, 15.15 16.15, 21.00 22.00), ფეხბურთი (20.00, 1.00, 2.00), სუმო. საერთაშორისო ტურნირი (0.00).

## ჩოგბურთი

# საჩემპიონო მარულა

1. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — 839 ქულა. 2. მარატ საფინი (რუსეთი) — 824. 3. პიტ სამპრასი (აშშ) — 677. 4. მაგნუს ნორმანი (შვეცია) — 222. 5. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 587. 6. ანდრე აგასი (აშშ) — 553. 7. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — 525. 8. ალექს კორეტხა (ესპანეთი) — 495. 9. თომას ენკვისტი (შვეცია) — 442. 10. ტიმ ჰენმანი (ინგლისი) — 404. 11. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — 373. 12. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) — 368. 13. უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 354. 14. ფრანკო სკილარი (არგენტინა) — 312. 15 პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — 307. 16. სედრიკ პაოლინი (საფრანგეთი) — 304. 17. დომენიკ ჰრბატი (სლოვაკია) — 279. 18. არნო კლემანი (საფრანგეთი) — 272.

**ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტული სკოლის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის სპორტის სამმართველოს უფროსს ლევან რაზმაძეს მამის გარდაცვალების გამო.**

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი



<u>შამათი 2 სვლაში</u>

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. კg3! 1. ...მ:d5 2. კf5X.
1. ...მf – 2. ეd6X. 1. ...მ:e5 2. ეd6X.
1. ...მd – 2. მc5X.



**კროსვორდი №99**

**თარაზულად:** 5. წარსულში სსრ კავშირის სპორტკლუბი, 6. კიევის „დინამოს“ ქართველი ფეხბურთელი, 9. საქართველოს საკალათბურთო გუნდი, 11. კლუბი, სადაც თამაშობდა არჩილ არველაძე, 12. წარსულში ცნობილი ქართველი მოჭადრაკე ვაჟი, 15. შეჯიბრების დასაწყისი, 18. ფრანგი ფეხბურთელი, ფორვარდი, 19. ბრაზილიელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 20. სენაკის საფეხბურთო კლუბი, 21. „რომას“ საფეხბურთო მწვრთნელი, 24. სპორტის ზამთრის სახეობა, 26. მთათა მასივი აზიაში, ალპინიზმის ცენტრი, 27. რუსი ფეხბურთელი, ფორვარდი, 31. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 33. წარსულში ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, მცველი, 34. წარსულში სკანდალების მოყვარული ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელი, 35. წარსულში სახელგანთქმული „ფორმულა-1“-ის პილოტი, 36. გერმანელი საფეხბურთო მწვრთნელი.

**შვეულად:** 1. ჩეხი მოჭადრაკე, 2. წარსულში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 3. წარსულში ცნობილი ქართველი ძალოსანი, 4. „სკუადრა...“, 7. ქინი, შემართება, 8. დანიის საფეხბურთო კლუბი, 10. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 13. ძალოსანი, 14. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 16. ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე, 17. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 22. ჩილელი საფეხბურთო მწვრთნელი, 23. 50-60-იანი წლების არგენტინელი წარმოშობის ფეხბურთელი, ფორვარდი, 25. ლატვიის საფეხბურთო კლუბი, 28. ჩეხეთის სპორტკლუბი, 29. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 30. 80-იანი წლების ფრანგი ფეხბურთელი, მცველი, 32. ცნობილი საფეხბურთო მსაჯი.

**№98 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 3. „ამირანი“, 5. ლი, 6. კო, 7. სო, 9. ლახტი, 10. ბა, 11. დავი, 13. შიდო, 15. ალექსანდრია, 16. „აია“, 17. აიკ, 19. უვე, 20. პია, 21. ოტი, 22. კოე, 24. საუ. **შვეულად:** 1. რაი, 2. პიკ, 4. რეხვიაშვილი, 8. „ოდრა“, 10. „ბოკა“, 12. ვიერი, 14. იორკი, 16. აეკ, 18. კოუ, 23. ოტო, 25. ალი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.